ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ალიძვრება თუ არა გიორგი სეთურიძის წინააღმდეგ საქმე

გვ.4

3 აპრილიდან

79 ამბავი

ზვიად გამსახურდია

ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი



სამშაბათი, 3 აპრილი, 2018 №78 (7623) ფასი: 50 თეთრი

მამუკა ბახტაძე პრემიერობისთვის ბრძოლას გამოეთიშა?

გვ.2

რატომ დატოვა ივანიშვილის დეიდაშვილმა თანაინვესტირების ფონდი

გვ.2

„ივანიშვილი ახალ როკის გვირაბს აშენებს“

ლაშა ჩხარტიშვილი: „შეგნებულად მიდის საზღვრისპირა რეგიონების დაცლა“

გიორგი ვაშაძე საპრეზიდენტო კანდიდატად წარდგენას არ გამორიცხავს

გვ.3

„არემჯი გოლდს აუცილებლად დავამარცხებთ“

კახა კუკავა: „ზვიად გამსახურდიას საქმის დახურვა ივანიშვილმა მოითხოვა“

გვ.3

გვ.4

რამაზ საყვარელიძე: „ქართული ოცნება“ ძალებს ეძებს, რომ მიმზიდველობის ეფექტი არ დაკარგოს“

სამართალი გვ.7

ომბუდსმენი: „მაჩალიკაშვილის საქმე შესწავლის საგანი უნდა გახდეს“

ბახალას 20 წელი ან უვადო პატიმრობა ემუქრება

კახეთში მომხდარ ავარიას 50 წლამდე მამაკაცი ემსხვერპლა

ეკონომიკა გვ.6

საქართველოში რეგისტრირებული ავტომობილების რაოდენობა ყოველწლიურად დაახლოებით 8%-ით იზრდება

იპოთეკით დატვირთული 287 ათასი ქონებიდან 200 ათასი კერძო მევახშეებზე მოდის

ავტოსაგზაო შემთხვევებით გამოწვეულმა ხარჯებმა 738 მლნ დოლარი შეადგინა

ISSN 1987-9385

5 ანზორ აბრალავა: „საქართველოს მყარი პოლიტიკა არც ერთ სფეროში არ გააჩნია“

7 ბათუმში 12 წლის ბიჭის დაჭრაში ბრალდებული არასრულწლოვანია

5 თბილისის მერიამ გენგეგმის მიღებაზე უარი განაცხადა

7 გორში დენის დარტყმის შედეგად მამაკაცი გარდაიცვალა

მამუკა ბახტაძე პრემიერობისთვის ბრძოლას გამოეთიშა?

რატომ დატოვა ივანიშვილის დეიდაშვილმა თანაინვესტირების ფონდი

შორენა მარსაგიშვილი

„ქართულ ოცნებაში“ პრემიერის თანამდებობაზე ნამდვილი კასტინგია გამოცხადებული. ამ დღეებში სავარაუდო კანდიდატების სია ერთით შემცირდა. როგორც „ახალ თაობას“ მმართველ გუნდთან დაახლოებულმა წყარომ განუცხადა, პრემიერობისთვის ბრძოლას გამოეთიშა ფინანსთა მინისტრი მამუკა ბახტაძე.

მამუკა ბახტაძის ჩაჩოჩებას, ჩვენი წყარო ბიძინა ივანიშვილის დეიდაშვილს, უჩა მამაცაშვილს უკავშირებს.

დაახლოებით 10 დღის წინ სააგენტო ჯიბიეს-მა გაავრცელა ინფორმაცია, რომ ბიძინა ივანიშვილის დეიდაშვილმა, უჩა მამაცაშვილმა, „თანაინვესტირების ფონდის“ მმართველი კომპანია „ჯი სი ეფ პარტნიორები“ დატოვა. მანვე მიუთითა, რომ მამაცაშვილის წილის 50%-ის დათმობა ოფიციალურად უკვე გაფორმდა.

სააგენტოს ცნობით, ბიძინა ივანიშვილის ფონდის მმართველი კომპანიის ერთპიროვნული მფლობელი გიორგი ბაჩიაშვილია. კომპანია 2013 წელს დაფუძნდა, კომპანია „თანაინვესტირების ფონდს“ მართავს. ფონდს პროექტები აქვს ტურიზმის, ენერგეტიკის, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის სექტორში.

„ოცნებაში“ უჩა მამაცაშვილის წასვლის მიზეზებზე არ საუბრობენ. ერთ-ერთი ვერსიით, მას მილიარდერ დეიდაშვილთან შეექმნა პრობლემები.

ამ პრობლემების შექმნამდე ის აქტიურად ლობირებდა მამუკა ბახტაძეს, რომელიც ჯერ რკინიგზის შეფი გახდა, შემდეგ ფინანსთა მინისტრი და დღე-დღეზე შეიძლებოდა პრემიერის პოსტისთვის გამოეკრა ხელი.

უჩა მამაცაშვილის გარდა, ბახტაძეს ივანიშვილის უფროსი ვაჟი – უტაც მფარველობს. ისინი ახლო მეგობრები არიან.

პრემიერობის მეორე კანდიდატს ლობირებს ივანიშვილის სანათესავოს მეორე ფრთა. მედიაში უკვე გაიჟღერა ინფორმაციამ იმის შესახებ, რომ გიორგი გახარიას კანდიდატურას ყოფილი პრემიერის კიდევ ერთი ნათესავი შმაგი ბოლქვაძე ლობირებს.

აღსანიშნავია, რომ მთავრობის მეთაურის პოსტზე გიორგი ბაჩიაშვილის გვარმაც გაიჟღერა, რომელიც ივანიშვილის ნდობით აღჭურვილი პირია. ბაჩიაშვილზე ბევრად ადრე დაიწყო საუბარი, ვიდრე გახარიას და ბახტაძის გვარები გაიჟღერებდა.

ჩვენი წყაროს ცნობით, ამ მომენტისთვის გაპრემიერების ყველაზე მაღალი შანსი გიორგი გახარიას აქვს.

როგორც „ოცნების“ კულუარებში ამბობენ, სწორედ ამას უკავშირდება დეპუტატ ოთარ დანელიას გააქტიურება. პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ჯერ ისევ შს მინისტრის ახლობელია.

რეგიონული მართვისა და ინფრასტრუქტურის ყოფილი მინისტრის ზურაბ ალავიძის წინააღმდეგ საჯაროდ სწორედ დანელიამ გაილაშქრა. ალავიძე კი, თავის მხრივ, გიორგი კვირიკაშვილის კადრი იყო.

„ივანიშვილი ახალ როკის გვირაბს აშენებს“

ლაშა ჩხარტიშვილი: „შეგნებულად მიდის საზღვრისპირა რეგიონების დაცლა“

შორენა მარსაგიშვილი

რატომ აწვდის ხელისუფლება ოკუპანტებს დენს უფასოდ

რა პრობლემებს უქმნის საქართველოს გიგანტური ჰესები, ვინ და რა მიზნით ცლის საქართველოს მთიან რეგიონებს, რისთვის და ვისთვის შენდება ახალი გზა? – ამ თემებზე „ახალ თაობას“ უფლებადამცველი ლაშა ჩხარტიშვილი ესაუბრება.

ლაშა ჩხარტიშვილი:

– „ქართული ოცნება“ სულ უფრო ემსგავსება სააკაშვილის ხელისუფლებას, ძალადობით და სპეცრაზმების მეშვეობით ცდილობს ჰესების მშენებლობის დაწყებას. ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ მოსახლეობა დაითანხმონ იმაზე, რაზე დათანხმებაც არ შეიძლება. ამ დათმობაზე წასვლა დასავლეთ საქართველოს მთიანეთის დაცლის და განადგურების ტოლფასია.

გარდა იმისა, რომ სვანეთში გიგანტური ჰესების აშენება არ შეიძლება, ძალიან მნიშვნელოვანი მომენტია ის, რომ ეს ხალხის ნების წინააღმდეგ კეთდება. ჩვენ ვართ იმ საერთაშორისო ხელშეკრულებების მონაწილე მხარე, რომელიც საზოგადოების ჩართულობის გარეშე კრძალავს გარემოსთან დაკავშირებული პროექტების განხორციელებას.

სპეცრაზმის დახმარებით, მესტიაჭალაჰესის მშენებლობის დაწყებას ხელისუფლება უკვე ორჯერ შეეცადა. ადგილობრივებმა ძალიან ივაჟკაცეს და თავიანთი კუთხე დაიცვეს. განსაკუთრებით მინდა გამოვარჩიო შვიდი თვის ფეხმძიმე გოგო მაგდა გულედანი, რომელიც გზაზე დაწვა და სპეცრაზმს გზა გადაუკეტა. მან ნამდვილი გმირობა ჩაიდინა.

ივაჟკაცა ადგილობრივმა მოსახლეობამ, რომელიც მორიგეობდა და ღამეებს ათენებდა. მათ ხელისუფლებას არ მისცეს იმის უფლება, რომ მესტიის განადგურება დაეწყოთ.

– შეძლებს მოსახლეობა ბოლომდე გაუმკლავდეს ამ ზეწოლას? ყაზბეგ ში ეს ვერ შეძლო და ხელისუფლებამ იქაურობა ააოხრა.

– მესტიელებმა აჩვენეს, რომ ისინი ბოლომდე აპირებენ ბრძოლას. მათ გვერდით უნდა დადგეს მთელი საქართველო. საქართველო გვერდით უნდა დაუდგეს რაჭასაც, სადაც ასევე აპირებენ ჰესების აშენებას. 7 აპრილს ონში დიდი აქცია გაიმართება.

მინდა ყველამ კარგად გაიგოს, რომ დღეს საქართველოში გიგანტური ჰესების მშენებლობა აუცილებელი არ არის. ამის გარდა, არც მოსახლეობა და არც ქვეყანა ამ ჰესებიდან ხეირს ვერ მიიღებს. სამაგიეროდ, ძალიან დიდია ზარალი – ნადგურდება უნიკალური ბუნება.

ბუნების მნიშვნელოვანი ნაწილი უკვე განადგურებულია. ავიღოთ მდინარე თერგი, მისი ნახევარი ნაკადულად გადააქციეს. სხვა მდინარეებსაც იგივეს უპირებენ. ზოგან დატბორვის მეთოდის გამოყენებას აპირებენ. დატბორვა ცვლის კლიმატს და ნგრევის საფრთხეს შეიცავს, რამაც მოსახლეობის განადგურებამდეც კი შეიძლება მიგვიყვანოს. ხელისუფლებას გადაწყვეტილი აქვს, ჩვენი მდინარეების 90% მილებში მოაქციოს.

მოსახლეობის პროტესტი სრულიად საფუძვლიანი და დასაბუთებულია. მათ არ უნდათ საკუთარი ქვეყნის აოხრება. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ ამით საქართველო არაფერს მოიგებს.

– აბა რატომ აშენებენ ასე ისტერიულად ჰესებს?

– საქართველოს დღეისთვის დამატებითი ელექტროენერგია არ სჭირდება. რამდენიმე წელიწადში ალბათ იქნება ამის საჭიროება. ისიც ტყუილია, რომ ჩვენგან ვინმე წაიღებს ელექტროენერგიას. რუსეთს თავისი რესურსები აქვს. იგივე შეიძლება ვთქვათ სომხეთსა და თურქეთზე. აზერბაიჯანს ჩვენ რა უნდა მივაწოდოთ, როცა მათგან ვიღებთ ბუნებრივ აირს.

აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, ჩნდება კითხვა, მაშ ვისთვის ან რისთვის შენდება ამდენი ჰესი.

არ არის გამორიცხული, აქ ფულის გათეთრებასთან გვქონდეს საქმე.

მეორე ვარიანტი კი ის არის, რომ ეს ჰესები ბიტკოინების ქარხნისთვის შენდება. მოგეხსენებათ, რომ ბიტკოინებს დიდი რაოდენობით ელექტროენერგია სჭირდება. როგორც ამბობენ, ბიტკოინების ქარხნის უკან ივანიშვილი დგას.

ხელისუფლებაში მოსვლამდე ივანიშვილი თავად ამბობდა, რომ არ დაუშვებდა გიგანტური ჰესების მშენებლობას. ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ყველაფერი საპირისპიროდ გააკეთა.

საქართველოს მოსახლეობა ამ ჰესებით ვერ ისარგებლებს. მათ იაფად ელექტროენერგიას არავინ მიაწვდის. სამაგიეროდ, დენს უფასოდ მიიღებენ ოკუპანტები.

ამ დღეებში სოციალურ ქსელში გავრცელდა ვიდეო, სადაც ნათლად ჩანს, რომ შიდა ქართლში, მათ შორის ახმაჯში მყოფი რუსი ოკუპანტები დენს საქართველოს კონტროლირებადი ტერიტორიიდან იღებენ. მათ დენის საფასურს არავინ ართმევს, სამაგიეროდ, საქართველოს მოსახლეობას მოუწევს 2,5-ჯერ მეტის გადახდა.

ნენსკრაჰესის ხელშეკრულებაში პირდაპირ წერია, რომ თუ დენს გარეთ ვერ გაყიდიან, მაშინ საქართველომ უნდა შეიძინოს 2,5-ჯერ ძვირად.

7 თვის ორსულმა მაგდა გულედანმა სპეცრაზმს გზა გადაუკეტა

ამ ჰესომანიამ საქართველოს შეაძლოა პოლიტიკური პრობლემებიც შეუქმნას. ჰესის აშენება გადაწყვიტეს პანკისშიც. იქ მდინარე ალაზნის მოქცევას აპირებენ მილებში. ამას ხეობაში მცხოვრები ქისტები და ქართველები ერთად აპროტესტებენ. მე ვშიშობ, რომ ამ პროტესტმა პოლიტიკური სახე არ მიიღოს.

– რატომ გგონიათ, რომ პროტესტი პოლიტიკურ სახეს მიიღებს?

– პანკისის ხეობაში ჯერ არ დავიწყებიათ გასული წლის ბოლოს ჩატარებული სპეცოპერაცია, რომლის დროსაც მძინარე ახალგაზრდა მოკლეს. ხალხი დღემდე ითხოვს ამ საქმის გამოძიებას. პანკისელები ძალიან გაღიზიანებულები არიან და ჰესების თემამ ეს პრობლემა, შესაძლოა, კიდევ უფრო გაამწვავოს.

ჰესები ძირითადად საზღვრისპირა რეგიონებში შენდება, ამ რეგიონების დაცლა კი საქართველოს ინტერესებში არ უნდა შედიოდეს.

– როგორც ამბობენ, ვიღაცები შეგნებულად ცდილობენ, რომ საზღვრისპირა რეგიონები დაიცალოს. საუბარია იმ რეგიონებზე, რომლებზეც რუსებს პრეტენზია აქვთ. მაგალითად, ავიღოთ თუნდაც ყაზბეგი.

გაგრძელება მე-4 გვერდზე

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

გიორგი ვაშაძე საპრეზიდენტო კანდიდატად წარდგენას არ გამორიცხავს

„არემჯი გოლდს აუცილებლად დავამარცხებთ“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს „ახალი საქართველოს“ თავმჯდომარე **გიორგი ვაშაძე** პასუხობს.

– ბატონო გიორგი, ექსპერტთა ნაწილი ფიქრობს, რომ მთავრობაში დაწყებული ცვლილებები წინასაარჩევნო კამპანიის ნაწილია. ზოგი კი ფიქრობს, რომ დღეს „ოცნებაში“ დიდი ქაოსი და არეულობაა. რას იტყვით თქვენ?

– პირველ რიგში გეტყვით იმას, რომ ხელისუფლება მთლიანად ჩაიკეტა კაბინეტებში, საერთოდ ხალხს არ უსმენს. ახლა რაღაცა მოჩვენებითი შეხვედრები დაიწყეს ჩვენი კრიტიკის შემდეგ მოსახლეობასთან. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, თავის აქტივთან. აქტივთან შეხვედრა არ არის საქმე, მოსახლეობას უნდა ელაპარაკო და მოქალაქეებს ელაპარაკო! მთავარი ფუნდამენტია დარღვეული, ხელისუფლება არ ემსახურება ხალხს, ის ემსახურება საკუთარ ინტერესს! აქედან გამომდინარე უფრო და უფრო რთული მდგომარეობა იქმნება, ამას თავადაც კარგად ხვდებიან და ალბათ სიმპტომურიც იყო, პარლამენტის თავმჯდომარემ თავის ერთ-ერთ ინტერვიუში რომ თქვა, მეორე ტურში მაინც გავიმარჯვებთო.

– ანუ პირველი ტურის იმედი არ აქვთ.

– ასეა. თვითონაც კარგად ხვდებიან, რომ კატასტროფული მდგომარეობა აქვთ რეიტინგის თვალსაზრისით. ადამიანების მოძებნა, ვინც მათ გულშემატკივრობს, ძალიან რთულია და ეს ყველაფერი ხდება იქიდან გამომდინარე, რომ ქვეყანა არის, პირველი – კორუფციულ ჭაობში, ზედა ეშელონებში კატასტროფული ფულის კეთებაა უკვე. მეორე – არის რაღაცა სურვილები, რომლებიც ივანიშვილს აქვს და ამ სურვილების ასრულებაზეა ყველაფერი ორიენტირებული, მაგრამ კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ ჩვენი აუქციონებში მონაწილეობის შედეგად და მესამე – აქვთ ძალიან დიდი შიდა დაპირისპირება.

– დაპირისპირება რა თემაზე?

– ყველა ერთმანეთს აბრალებს, რომ მისი ბრალია ეს კატასტროფული სიტუაცია, რაც ქვეყანაშია. ამიტომ შექმნილია ის ქაოსი, რასაც ვუყურებთ. ამ ყველაფერში კი მთავარი პრობლემა არის ის, რომ ქვეყანა წინ არ მიდის. არაფერს ახალს არ ვიღებთ. ჩვენ გვყავს ხელისუფლება, რომელიც უბრალოდ ხელფასს იღებს, ზემოდან პრემიას იღებს და კიდევ კორუფციულ ფულს შოულობს საბიუჯეტო სახსრებზე. აი, ეს არის დღეს არსებული სიტუაცია.

– აუქციონი ახსენეთ და ეს თემა დიდი განხილვის საგნად იქცა, ბევრისთვის საქილიკო თემად. მიაღწევს რამეს ოპოზიცია?

– ამან კიდევ უფრო მეტი დისონანსი შეიტანა ხელისუფლებაში. იმიტომ, რომ ამ აუქციონებმა რეალური სახე აჩვენა, რომ ხელისუფლება, ერთი მხრივ, არემჯი გოლდთან შეკრულია თავიდან ბოლომდე. ათ უწყებაში გვაქვს წერილი გაგზავნილი და ყველა გვიჭიანურებს პასუხის გამოგზავნას. დღეს მივიღე ნიუსი, სადაც გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის მინისტრი ამბობს, რომ არემჯი გოლდმა უნდა აღმოფხვრას ყველა დარღვევა. ეს მიუთითებს იმაზე, რომ უკან დაიხიეს. მათ ძალიან კარგად იციან, რომ ჩვენ მოვიპოვეთ სპეციალური სამართლებრივი სტატუსი და ეს საქმეები წავა ევროპულ სამართალდამცავ ორგანოებში და არ გაჩერდება ამ პროკურატურაში, რადგან არემჯი გოლდი რეგისტრირებულია ჰოლანდიაში და მოუწევთ პოლიტიკურ კორუფციასთან დაკავშირება და თვითონ ხელისუფლებას პასუხისგება.

– იმის თქმა გინდათ, რომ შედეგი აქვს ოპოზიციის აქტიურობას?

– დასკვნა არის ის, რომ ჩვენმა აუქციონებში გამარჯვებამ სრულიად ახალი პარადიგმა შეიტანა. ჩვენ გავიმარჯვეთ არაფორმალურ მმართველთან, ჩვენ გავიმარჯვეთ სრულიად მონოპოლიზებულ მმართველობაზე და მოვუძებნეთ მექანიზმი, როგორ ვებრძოლოთ!

– თანხების მობილიზებას როგორ ახერხებთ. დღეს ოპოზიციას ფული არ აქვსო და რით აპირებთ ტენდერების მოგებას?

– ხის თანხა ფაქტიურად შეგროვებულია, სულ ცოტა დარჩა და 10 ათასი გვექნება. გუშინ დილით საკმაოდ გააქტიურდა ჩარიცხვები. სხვათა შორის, საკმაოდ დაგვეხმარა იმედის კვირის სიუჟეტი, მათი მიზანი იყო, რომ ნეგატიური სიუჟეტი ყოფილიყო, რადგან ისეთი ჰედლაინები იყო, რომ გაკოტრებული ოპოზიცია, ვალებში გადავარდნილი და ასე შემდეგ, მაგრამ ამან პირიქით იმუშავა. ვინ არის ვალებში?! ვალში გადავარდნილია სხვა მხარე. არემჯი გოლდია ვალში გადავარდნილი, ჩვენ არანაირ ვალში არა ვართ, პირიქით, ძალიან სერიოზული პროცესი დავიწყეთ, სადაც ხალხი შემოდის ფინანსურად.

– არემჯი გოლდზე რას იტყვით?

– არემჯი გოლდს რაც შეეხება, აქაც მინდა განვმარტო, რომ არანაირი თანხის გადახდას ჯერ არ ვაპირებთ, ჯერ გვაქვს სამართლებრივი საკითხები დასაზუსტებელი. მიწა არის მითვისებული, ბევრი უკანონო რამ ხდება. ჩვენ გვაქვს მრავალსაფეხურიანი სტრატეგია, სადაც აუცილებლად ისინი დამარცხდებიან. არემჯი გოლდს მოუწევს პასუხისგება ყველა იმ პრობლემაზე, რაც აქ არის. სოფლის მეურნეობის მინისტრის განცხადება მიანიშნებს იმაზე, რომ მავანმა უკან დაიხია.

– ბატონო გიორგი, თქვენი აქტიურობა ბევრმა წინასაარჩევნო კამპანიის ნაწილად მონათლა. ითქვა, რომ აპირებთ საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას და რომ თქვენს კანდიდატურას მხარს ნაციონალური მოძრაობაც უჭერს. იქნებით გაერთიანებული ოპოზიციის კანდიდატი?

– ამ შემთხვევაში ვერაფერს ვიტყვი, რადგან არ ყოფილა მსჯელობა ჩემს კანდიდატურაზე, მაგრამ რაზეც აქტიურად ვმუშაობ, ღიად გეტყვით – ეს არის, რომ პროდასავლური ოპოზიციური ძალების მაქსიმალური კონსოლიდაცია მოხდეს და საერთო კანდიდატით ვიბრძოლოთ „ქართული ოცნების“ წინააღმდეგ. მე მაქვს იგივე პრინციპი, რაც მქონდა ყველა არჩევნებზე.

– როგორია ეს პრინციპი?

– არანაირი ბრძოლა მეორე ტურისთვის! ბრძოლა უნდა იყოს გამარჯვებისთვის. საქართველოში არჩევნები არსებობს ერთ დღეს. საქართველოში არანაირი მეორე ტური არ არსებობს! ის, ვინც ამბობს, მეორე ტურში გაერთიანდეს ოპოზიცია და ასე შემდეგ, ეს არის ჩვეულებრივი ხელისუფლების თამაში. ეს არის „ქართულ ოცნებასთან“ კოორდინირებული თამაში. ამიტომ მე ყველაფერს ვაკეთებ, ეს დღეებია მქონდა ძალიან ბევრი შეხვედრა იმისთვის, რომ გავზარდო მოტივაცია ოპოზიციურ ძალებში, დავანახო ის რეალური პერსპექტივა, რომ მაქსიმალურად შევძლოთ გაერთიანება ამ არჩევნებში და ერთი კანდიდატი გვყავდეს.

– ვინ იქნება ეს კანდიდატი?

– თუ ვინ იქნება ეს კანდიდატი, ეს გადაწყდება საერთო კონსულტაციების შედეგად.

– შესაძლოა ეს თქვენ იყოთ? დაგვიდასტურებთ ამ მოარულ ხმებს?

– მე არაფერს არ გამოვრიცხავ. აქამდე ჩემს კანდიდატურაზე არ ვფიქრობდი, თუმცა ვნახოთ, ეს კონსოლიდაცია რას გამოიწვევს და როგორი ნაბიჯები იქნება გადასადგმელი.

– არის შანსი, დაამარცხოთ სახელისუფლო კანდიდატი?

– მე ვფიქრობ, რომ ამისი ძალიან დიდი შანსია და ფაქტობრივად გამარჯვება წინ გვიდევს და ეს გამარჯვება უნდა ავიღოთ. ამ ყველაფერს კი თვითონ ხელისუფლების განცხადებებიც ადასტურებს. მათ არ აქვთ პირველი ტურის იმედი და ფიქრობენ, რომ ეს როგორმე მეორე ტურში მოახერხონ. მე მიმაჩნია, რომ არჩევნები პირველივე ტურში უნდა დასრულდეს და თუ ოპოზიციას ეყოლება ერთიანი კანდიდატი, ის აუცილებლად გაიმარჯვებს!

კახა კუკავა: „ზვიად გამსახურდიას საქმის დახურვა ივანიშვილმა მოითხოვა“

გულიკო ბალაძე

– სახელმწიფომ ზვიად გამსახურდიას მკვლელობის საქმე უნდა გამოიძიოს. ეს არ არის პოლიტიკური საკითხი. პირველი პრეზიდენტის მკვლელობაა მომხდარი და სახელმწიფომ უნდა გამოიძიოს, რადგან ის მოკლა არა მეზობელმა, არამედ უშიშროებამ და სპეცსამსახურებმა. ჩვენს მოთხოვნაში განსაკუთრებული არაფერია, – აცხადებს „ახალ თაობასთან“ პარლამენტის ყოფილი წევრი, „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერი **კახა კუკავა.**

კახა კუკავას განცხადებით, პირველი პრეზიდენტის საქმის გამოძიებამ დამატებით აქტუალობა შეიძინა, რადგან 31 დეკემბერს ხანდაზმულობის ვადა იწურება. პროკურატურა კი უმოქმედოა, რადგან, მისი თქმით, საქმის გამოძიებაზე ზემოდან დავალება არ აქვს.

– პირველი პრეზიდენტის საქმის გამოძიებამ დამატებით აქტუალობა შეიძინა, რადგან ხანდაზმულობის ვადა იწურება, გამოძიება კი არ მიმდინარეობს.

– ზვიად გამსახურდიას მკვლელობის საქმის გამოძიებას ხანდაზმულობის ვადა როდის გადის?

– 31 დეკემბერს.

– ამის თაობაზე კანონში პირდაპირი მითითება არის?

– დიახ, კანონში არის 71-ე მუხლი, რომ მძიმე დანაშაულზე შეიძლება 25 წელი იწარმოებოდეს. ივანიშვილის დაკვეთაა, როგორც კი გავა 25 წელი, საქმე უნდა დახურონ.

– რა იცით, რომ ივანიშვილის დაკვეთაა საქმის დახურვა?

– ვიცით. მე ყოველდღიური შეხება მაქვს ოჯახთანაც, ადვოკატთანაც და ვიცით, რა დავალებს აძლევს. პროკურორებთანაც გვაქვს შეხება და ისინიც ამას ამბობენ.

– პროკურორები გეუბნებიან, შეკვეთა გვაქვსო?

– პროკურორები არაფორმალურ საუბრებში არ მალავენ იმას, რომ მათ დავალება არ აქვთ მიღებული საგამოძიებო მოქმედებების წარმოებაზე. თქვენ იცით, რომ, როცა ზემოდან დაავალებენ, ორ დღეში გახსნის საქმეს, როცა ზემოდან არ დაავალებენ... ახლა პროკურატურა არაფერს აკეთებს.

– ახლა გამოძიება რა ეტაპზეა?

– გამოძიება შედგება საგამოძიებო მოქმედებებისაგან. რაც ეს მთავრობა მოვიდა, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში, საგამოძიებო მოქმედებები არ ტარდება, ან ტარდება ისეთი საგამოძიებო მოქმედებები, რომელსაც იურიდიული მნიშვნელობა არ აქვს. მაგალითად, იმ მოწმეების დაკითხვა, რომლებიც უკვე დაკითხული არიან და იგივეს ამეორებინებენ.

– ფაქტია, რომ ამ ხელისუფლების პირობებში ზვიად გამსახურდიას საქმე პროკურატურამ გადააკვალიფიცირა. იქამდე აცხადებდნენ, გინდა თუ არა გამსახურდიამ თავი მოიკლაო. ახალი ხელისუფლების პირობებში შესაძლებელი გახდა საქმე გადაკვალიფიცირებულიყო და ძიება პრეზიდენტის მკვლელობის მუხლით წარმართულიყო.

– 31 მარტს კვირიკაშვილმაც განაცხადა, რომ ზვიად გამსახურდიას საქმე უნდა გამოიძიონ, მაგრამ 25 იანვარს შევარდნაძეზე აღავლინა ლოცვა. აღა-მაჰმად ხანის დაბადების დღე არ იცის, ალბათ, თორემ იმასაც მიულოცავდა.

– შევარდნაძეზე რა თქვა?

– შევარდნაძეზე თქვა, რომ დიდი სახელმწიფო მოღვაწე იყო და ქართველი ერი მის წინაშე ვალშია.

– 31 მარტს რეფერენდუმის მნიშვნელობისა და ზვიად გამსახურდიას როლის შესახებ განცხადება გააკეთა.

– ხომ ხვდებით, რომ აბსურდია. შეიძლება ორივე დიდი მოღვაწე იყოს, შევარდნაძეც და გამსახურდიაც? შეიძლება შაჰ-აბასი და ერეკლე მეორე ერთნაირად რომ გიყვარდეს? სრული უაზრობაა.

– ალბათ გარკვეული საგამოძიებო მოქმედებები ჩაატარეს, როცა მოახდინეს გადაკვალიფიცირება? საფუძველი შეიქმნა, რომ გამსახურდიას მკვლელობა იყო მომხდარი, აბა, ისე როგორ გადააკვალიფიცირებდნენ?

– მე მგონია, რომ ეს იყო ირაკლი ღარიბაშვილის პოლიტიკური პიარისთვის განკუთვნილი. საქართველოში ყველაფერი ასე კეთდება. იტყვიან, ახლა გამოვიძიებთ გამსახურდიას საქმესო და ამით რამდენიმე ათასი ხმა მოიპარეს. ქართველი ხალხი ძალიან მიამიტია. მიშა რომ ამბობდა, დევნილებს დავაბრუნებ სოხუმშიო და ხმას აძლევდნენ. მერე ვიტყვით, რომ ანაბრები დაბრუნდება.

– ღარიბაშვილი წავიდა ხელისუფლებიდან. ისე ხელისუფლებებს არასოდეს ვუფასებთ ნამოქმედარს. არც ზვიად გამსახურდიას უფასებდნენ ღვაწლს. გამსახურდიას მიმართ ერთ-ერთ ბრალდებად სიგუამ პურის არ გაძვირება წაუყენა (ჩემთან ინტერვიუშიც გაიმეორა), პური რატომ არ გააძვირაო და ხალხი აუმხედრეს.

– არ შეიძლება ზვიად გამსახურდიას სახელის გამოყენება პიარში, როცა მერე არაფერს აკეთებ. თბილისის აეროპორტსაც კი ვერ დაარქვეს გამსახურდიას სახელი. ვერ გაბედეს აეროპორტისთვის ზვიად გამსახურდიას სახელის დარქმევა. ზვიად გამსახურდიას ქუჩაზე, სანაპიროზე ჩაბრძანდით და ნახეთ, ერთი აბრა თუ არის. არც ერთი აბრა არ არის.

როდესაც გულში აგინებ და შემდეგ ზვიადისტების ხმების მოპოვების მიზნით იტყვი, რომ ზვიადი არ იყო ცუდი კაცი, კარგი კაცი იყო და საქართველო უყვარდაო, ამას ეწოდება პოლიტიკური პროსტიტუცია. ირაკლი ღარიბაშვილთან შედარებით უფრო მეტ პატივს ვცემ ჯაბა იოსელიანს, რომელიც, რასაც ფიქრობდა, იმას ამბობდა.

სახელმწიფომ პირველი პრეზიდენტის მკვლელობის საქმე უნდა გამოიძიოს. ჩვენ მოვითხოვთ პირველი პრეზიდენტის საქმის გამოძიებას. ეს არ არის პოლიტიკური საკითხი. ვინმეს მამა რომ მოუკლან, შვილი ხომ არ გამოიძიებს, პროკურატურამ უნდა გამოიძიოს. მით უფრო, პირველი პრეზიდენტის მკვლელობაა მომხდარი და სახელმწიფომ უნდა გამოიძიო, რადგან ის მოკლა არა მეზობელმა, არამედ უშიშროებამ და სპეცსამსახურებმა. ჩვენს მოთხოვნაში განსაკუთრებული არაფერია.

რამაზ საყვარელიძე: „ქართული ოცნება“ ძალებს ეძებს, რომ მიმზიდველობის ეფექტი არ დაკარგოს“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი **რამაზ საყვარელიძე** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში „ქართულ ოცნებაში“ მიმდინარე პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო რამაზ, „ქართული ოცნების“ ლიდერებმა პარტიის რეფორმირება დააანონსეს. საუბარია რეფორმის მეორე ტალღაზე. საპარლამენტო არჩევნების წინ ჩვენ ვნახეთ ახალი სახეები ძველების ნაცვლად. იგივეს უნდა ველოდოთ?

– პირველი ტალღა საპარლამენტო არჩევნების წინ იყო, მეორე ტალღა ალბათ საპრეზიდენტო არჩევნებს დაუკავშირდება. მსგავს რეორგანიზაციას ყველა პარტია მიმართავს, მით უფრო, მმართველი პარტია და ეს ყოველთვის არჩევნებთან არის კავშირში. პირველ ტალღის დროს, როგორც ითქვა, ჩვენ ვნახეთ ასაკობრივი ჩანაცვლება, ახალი სახეები ახალგაზრდები იყვნენ, ახალგაზრდებით მოხდა ჩანაცვლება. ახლა რა მიმართულებით იქნება და იქნება თუ არა მსგავსი ჩანაცვლება, ვერ გეტყვით. თუმცა, ფაქტი ერთია, „ქართული ოცნება“ ჯერ კიდევ ეძებს თავის თავში ძალებს, რომ მიმზიდველობის ეფექტი არ დაკარგოს.

ახალი სისხლის გადასხმა, ახალი ენერგია ყოველთვის არის საჭირო და ეს პოლიტ-ტექნოლოგიის ელემენტებია, ანბანია, მაგრამ ეს ძალიან მაღალ დონეზე უნდა გაკეთდეს. თუ ეს მოჩვენებითი იქნება, ამას ამომრჩეველი მაშინვე შეამჩნევს და იმ შედეგს ვერ მოიტანს, რაზეც არის ხოლმე ასეთი რეფორმები გათვლილი. ერთგვარი სელექცია ძალიან მიმზიდველია ხოლმე, მაგრამ ეს სელექცია სწორად უნდა გაკეთდეს, „ეს ვინ მოიყვანეს“, „ეს საიდან არის“ მსგავსი ფრაზები ამომრჩეველმა არათუ არ თქვას, არც კი უნდა გაიფიქროს.

ისე, ძალიან ბევრი რამე შეიძლება გამოჩნდეს ამ პროცესის შემდეგ.

– რას გულისხმობთ?

– თუნდაც იმას, როგორ შეიძლება დალაგდეს სურათი, ვინ სად შეიძლება აღმოჩნდეს და როგორ შეიძლება ძალების გადანაწილება მოხდეს.

– გუნდის შიგნით?

– დიახ, ვნახოთ, რა მიმართულებით მოხდება რეფორმა, უპირველეს ყოვლისა, რა იგულისხმება ამ სიტყვის მიღმა, მოვლენების განვითარებას უნდა დაველოდოთ.

– რა უფრო მნიშვნელოვანია, ქმედითი ნაბიჯები, თუნდაც საკანონმდებლო დონეზე, ის, რაც უფრო ხელშესახებია ამომრჩევლისთვის თუ სახეები?

– ორივე არის მნიშვნელოვანი. ეს ის საკითხია, როდესაც ვერ იტყვი, რომელი უფრო მნიშვნელოვანია. ისე, უნდა ვთქვა, რომ პირველ რიგში მაინც ნდობას ადამიანები იმსახურებენ და იწვევენ, შემდეგ მათ მიერ გაკეთებული საქმეები. თუ ადამიანი ნდობას ვერ დაიმსახურებს, ვერც მისი საქმე ვერ დაიმსახურებს ნდობას. ამიტომ არის ხოლმე, რომ საარჩევნო სიები ხშირად ე.წ. ცნობადი, პოპულარული სახეებით, მსახიობებით, მომღერლებით არის დაკომპლექტებული.

– თქვენ ამბობთ, რომ ეს ეტაპი ჯერ კიდევ ვერ გაიარა ქართველმა ამომრჩეველმა?

– სამწუხაროდ, ვერა. თქვენ აქცენტს საქმის მკეთებელ, პროფესიონალებზე აკეთებთ, მაგრამ ეს ხალხიც არის ხოლმე საჭირო, როდესაც იმ საქმის მკეთებლის ცნობადობა თითქმის ნულის ტოლფასია, მაშინ არის ხოლმე საჭირო მსგავსი ხალხის ჩასმა საარჩევნო სიაში.

კიდევ ერთი რამეა, „ქართულ ოცნებას“ რეალური რეფორმირება სჭირდება როგორც პარტიული მიმართულებით, ისე შინაარსობრივად, რადგან უკვე ძალას კარგავს ყველაფრის ნაციონალური მოძრაობის მმართველობაზე გადაბრალება.

– ცხრაწლიან მმართველობაზე აპელირება?

– დიახ, ეს პიარი ძალას კარგავს, ამიტომ, როგორ ჩანს, მიხვდნენ, რომ სხვა რაღაც არის საჭირო, მით უფრო, როდესაც წინ არჩევნებია. ისე, საარჩევნოდ ყველა პარტია მიმართავს მსგავს მანევრს.

– თუმცა, რა მისცა ახალი სახეების გამოჩენამ „ქართულ ოცნებას, როგორც პარტიას, ის უფრო ძლიერი გახდა“?

– პირველი, ახალი ძალა მისცა. მეორე, პარტიამ ეს ხალხი მაჟორიტარულ არჩევნებში დააყენა და ამით აიძულა, რომ ბრძოლისუნარიანები გამხდარიყვნენ. ალბათ გარკვეული პოლიტიკური გამოცდილებაც დააგროვეს. ახალი სახეების შემოსვლას ყოველთვის ახალი ენერგიის შემოტანა უკავშირდება. ერთგვარი დინამიზმი და მეტი გაბედულებაც მისცა, როგორც პარტიას. და მაინც, რა მისცა? ბოლო ხანების ინიციატივები, ძირითადად საკანონმდებლო ინიციატივებზე ვსაუბრობ, სწორედ ე.წ. ახალი სახეების მიერ არის ინიცირებული და ეს ინიციატივები არცთუ ურიგო ინიციატივებია, გნებავთ, გავიხსენოთ, რაზეა საუბარი: თუნდაც „ბირგვლიანის შესწორებები“, თუნდაც ახალი ნარკოპოლიტიკის ინიცირება და სხვა კიდევ.

– მმართველობის სტილში მოუწევთ კორექტივების შეტანა თუ კიდევ გაქაჩავენ?

– თუკი საუბარია პარტიის რეფორმირებაზე, ეს ნიშნავს, რომ რეფორმა ყველა მიმართულებით მოხდება. აღმასრულებელი სტრუქტურაც ხომ ამ პარტიის გავლენის ქვეშ არის ჩამოყალიბებული. სავარაუდოა, რომ ფორმულა „განახლება გვჭირდება“ ერთნაირად გავრცელდება ყველა მიმართულებით, როგორც საკანონმდებლო ორგანოზე, ისე აღმასრულებელზე და, რაც მთავარია, ადგილობრივ თვითმმართველობებზე. პარტია, თანაც მმართველი პარტია, ხომ არ არის მხოლოდ საპარლამენტო გუნდი.

– პრემიერმა კვირიკა შვილმა თქვა, რომ ხშირად ერთ სოფელში გაკეთებული საქმე მეორე სოფელში არ იციან. საქმე კეთდება, მაგრამ არ ჩანს, არ გვაშუქებენო. ხალხამდე ვერ მიტანა, ისევ აქილევსის ქუსლად რჩება?

– ალბათ, რადგან პრემიერი ამბობს, რომ სოფლიდან – სოფლამდე ამბავი ვერ აღწევს, გამოდის, ეს სერიოზული პრობლემაა. ეს პრობლემა ახალი არ არის. ეს მმართველ პარტიას მოსვლის დღიდან ახასიათებდა და მართლაც მისი აქილევსის ქუსლად დღემდე რჩება. ერთი უკიდურესობიდან მეორე უკიდურესობაში ვართ: თუ წინა ხელისუფლებას ეს სფერო გადაჭარბებულად, მომეტებულად ჰქონდა, რომ ქვეყანა ლამის პიარით იმართებოდა, „ქართული ოცნების“ ხელისუფლება პირველ ეტაპზე საერთოდ არ აქცევდა ამას ყურადღებას. თუ გახსოვთ, მაშინ ყველა დონეზე ითქვა უარი, უცხოეთში პიარის ყველა შესაძლებლობაზე თქვეს უარი, თუმცა, მალევე მიხვდნენ, რომ ასე არ შეიძლება, მით უფრო, თანამედროვე სამყაროში. ახლა, როგორც ჩანს, უფრო და უფრო ხდება ამის გაცნობიერება.

– ბატონო რამაზ, აქამდე რომ არ დასახელდა მმართველი პარტიის საპრეზიდენტო კანდიდატი, ამას რითი ხსნით?

– ესეც ერთგვარი პიარ-სვლაა, ნებისმიერ ბრძოლაში მოცდას ოქროს ფასი აქვს.

– თუ კანდიდატი არ ჰყავთ?

– მე არ გამოვრიცხავ, რომ „ქართული ოცნება“ ელოდება ოპონენტებისგან დასახელებას და ამის შემდეგ მოხდეს მათი კანდიდატის დასახელება. მეტოქე რა ნაბიჯებს გადადგამს, შემდეგ ამას საზოგადოებაში რა რეაქციები მოჰყვება, ეს ყველაფერი როდესაც იცი, მერე უფრო გათვლილ და პრაგმატულ ნაბიჯებს დგამ. თან დრო მათ სულაც არ აჩქარებს.

ალიძვრება თუ არა გიორგი სეთურიძის წინააღმდეგ საქმე

შორენა მარსაგიშვილი

როგორც მოსალოდნელი იყო, ზურაბ ალავიძეს საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარე, გიორგი სეთურიძე მიაყოლეს. „ქართული ოცნება“ ოფიციალურად ამბობს, რომ მან თანამდებობა საკუთარი სურვილით დატოვა. კულუარულ საუბრებში კი აცხადებენ, რომ ის ახალმა მინისტრმა მოხსნა.

საგანგებო განცხადება გააკეთა თანამდებობიდან წასულმა გიორგი სეთურიძემ. ის ამტკიცებს, რომ საკუთარი სურვილით წავიდა. მას არც იმ მიზეზების ჩამოთვლა დაეზარა, თურ-ატომ დატოვა თანამდებობა.

წასვლის მთავარ მიზეზად სეთურიძე ახალი მინისტრის საკადრო პოლიტიკას ასახელებს და ამბობს, რომ მაია ცქიტიშვილს ამის საშუალება უნდა მიეცეს.

გავრცელებული ინფორმაციით, სეთურიძეს შესაძლოა კანონთან შეექმნას პრობლემები. ოპოზიცია ამტკიცებს, რომ დეპარტამენტში ხშირი იყო კორუფციის ფაქტები.

სეთურიძე მის ყოფილ სამსახურში კორუფციის არსებობას გამორიცხავს და ამბობს, რომ მის უწყებაში ყველა ტენდერი გამჭვირვალე იყო.

– ახალ ხელმძღვანელობას უნდა მივცეთ საშუალება, რომ თავიანთი საკადრო პოლიტიკა გაატარონ. ჩემი სურვილი დაკმაყოფილდა და მიშუამდგომლა ქალბატონმა მაიამ პრემიერთან ჩემი გათავისუფლების თაობაზე.

გზების დეპარტამენტში კორუფციის დაბალი დონე კი არა, უნდა ვთქვა, რომ ნულთან არის ახლოს კორუფციის დონე და ტენდერების ჩატარების გამჭვირვალობა და სამართლიანობა არის უმაღლეს ზღვარზე, – აღნიშნა მედიასთან საუბარში სეთურიძემ.

კითხვას, თუ რატომ მიიღო ახალმა მინისტრმა პირველი საკადრო ცვლილების განხორციელებისას მისი გათავისუფლების გადაწყვეტილება, სეთურიძე ასე პასუხობს:

– საკმაოდ დიდი პასუხისმგებლობა აკისრია გზების დეპარტამენტის თავმჯდომარეს, ალბათ აქ არის უბრალოდ პირადი შეხედულებები.

ახალმა მინისტრმა საავტომობილო გზების დეპარტამენტს მალევე მოუძებნა შემცვლელი. მაია ცქიტიშვილის გადაწყვეტილებით, ამ თანამდებობას თანაინვესტირობის ფონდის თავმჯდომარე ირაკლი ქარსელაძე დაიკავებს. ქარსელაძე ინფრასტრუქტურის მინისტრის პირველი მოადგილეც იქნება.

გიორგი სეთურიძის განცხადებით, ქარსელაძე დიდი ხანია იცნობს მინისტრ მაია ცქიტიშვილს და მინისტრს მის მიმართ უფრო მაღალი ნდობა აქვს.

აქამდე მინისტრის პირველი მოადგილის პოსტი გიორგი მანტკავას ეკავა. ის ცქიტიშვილმა დააქვითა და უბრალო მოადგილეობა აკმარა.

საპარლამენტო ოპოზიცია საგზაო დეპარტამენტის ყოფილი თავმჯდომარის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრას ითხოვს.

„ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერის, დეპუტატ ირმა ნადირაშვილის განცხადებით, გამოძიებამ უნდა დაადგინოს, რამდენი მილიონით დააზარალა სეთურიძემ სახელმწიფო ბიუჯეტი.

დეპუტატი ამბობს, რომ საავტომობილო გზების დეპარტამენტის ყოფილი თავმჯდომარე ფულის კეთების ახალი ხერხების ავტორი იყო.

მისი განცხადებითვე, ყველა უწყებაში არის კორუფცია და სეთურიძე-ალავიძის მოხსნის მიზეზი არა კორუფციასთან ბრძოლა, არამედ ალავიძე-სეთურიძის ირგვლივ აგორებული სკანდალიდან თავის დაღწევა იყო.

– კორუფცია „ქართული ოცნების“ საფირმო ნიშანია და კორუფცია არის ყველგან, მაგრამ უშვებენ მხოლოდ სეთურიძეს და ალავიძეს, რაც მხოლოდ იმაზე მეტყველებს, რომ ამ ადამიანების ირგვლივ სკანდალი დაიწყო. ეს სკანდალი გახდა ძალიან ხმაურიანი და მოიცვა ფართო მასშტაბები. ეს არის მხოლოდ რეაქცია „ქართული ოცნების“ მთავრობის, რადგან მოერიდნენ ხმაურის კიდევ უფრო გაღრმავებას.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ სეთურიძის მიმართ უნდა აღიძრას სისხლის სამართლის საქმე და გამოძიებამ დაადგინოს, რამდენი მილიონით დააზარალა სეთურიძემ ბიუჯეტი, რომელიც იყო ფულის კეთების ახალი ხერხების ავტორი. მე შეგახსენებთ, მისი მოადგილეები როგორ გადადიოდნენ კერძო კომპანიებში და ეს იყო ერთგვარი ფორმა „ატკატების“ მისაღებად, – აცხადებს ირმა ნადირაშვილი.

„ივანიშვილი ახალ როკის გვირაბს აშენებს“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

– გამორიცხული არაფერი არ არის. ამ ჰესების მშენებლობის შედეგად, ამ რაიონებში ბუნება განადგურდება და იქაურობა გაუკაცრიელდება. დასახლებული რეგიონების მითვისება ბევრად უფრო რთულია, ვიდრე დაცლილის. არ არის გამორიცხული, ამ ჰესომანიას ეს მიზანიც ჰქონდეს.

კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ ამ ჰესებით არც მოსახლეობა და არც ქვეყანა სარგებელს არ მიიღებს.

საზღვრისპირა რეგიონების დაცლაზე ვსაუბრობთ და აუცილებლად უნდა შევეხოთ ალტერნატიულ გზას, რომლის გაკეთებასაც აპირებენ. საუბარია ყაზბეგი-ხევსურეთი-თუშეთის გზაზე. ამ გზის აშენების არანაირი აუცილებლობა არ არის და თუ ვინმე ისარგებლებს ამ გზით, ეს იქნება რუსეთი.

იმ შემთხვევაში, თუ ეს გზა აშენდება, ჩათვალეთ, რომ რუსული საქმე გაკეთდება. აქამდე თუ რუსეთს ცალ-ცალკე მოუწევდა თუშეთის, ხევსურეთის და ხევის დაკავება, ამ გზით სამივეს უპრობლემოდ დაიკავებს. ჩათვალეთ, რომ ივანიშვილის ხელისუფლება ახალ როკის გვირაბს აშენებს.

ვახტანგ გომელაური ისრაელის ელჩსა და ისრაელის სახელმწიფოს უსაფრთხოების სააგენტოს წარმომადგენელს შეხვდა

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსი, ვახტანგ გომელაური საქართველოში ისრაელის სახელმწიფოს ელჩს შაბთაი ცურის და ისრაელის სახელმწიფოს უსაფრთხოების სააგენტოს უსაფრთხოების მართვისა და რეგულირების დანაყოფის ხელმძღვანელს გიდო კრეიმერს შეხვდა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურიდან აცნობეს, მხარეებმა მიმოიხილეს მსოფლიოსა და რეგიონში არსებული უსაფრთხოების ვითარება, ხაზი გაუსვეს ორ ქვეყანას შორის არსებული თანამშრომლობის მნიშვნელობას და განსაკუთრებულად აღნიშნეს ტრანსსასაზღვრო დანაშაულთან ბრძოლის სფეროში საქართველოსა და ისრაელის სახელმწიფოს შესაბამის ორგანოებს შორის ეფექტური თანამშრომლობა.

ვახტანგ გომელაურმა და შაფთაი ცურმა ისაუბრეს ორი ქვეყნის წინაშე არსებული გამოწვევების შესახებ და სამომავლო თანამშრომლობის გაღრმავების პერსპექტივები დასახეს.

ანზორ აბრალავა: „საქართველოს მყარი პოლიტიკა არც ერთ სფეროში არ გააჩნია“

„აკადემიური წრეები მოვითხოვთ სიტყვის თავისუფლებას!“

მარიამ მჭედლიშვილი

მიმდინარე მოვლენებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ყოფილ დეპუტატს, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორ **ანზორ აბრალავას.**

– საზოგადოების ნაწილი შიშობს, რომ რუსეთი კიდევ ერთხელ მოუტანს ვნებას საქართველოს მას შემდეგ, რაც გადაწყდა შვეიცარიის საელჩოში შემავალი რუსეთის სექტორის თანამშრომლის გაძევება.

– რუსეთი ყველაფრის მკადრებელია, მაგრამ ამაზე მეტი ვნება რაღა უნდა მოუტანოს საქართველოს? ჩვენდა სავალალოდ, რუსეთი შემოსულია ქვეყანაში, მას ოკუპირებული აქვს ჩვენი ტერიტორიები. კრემლს საბაბად ნებისმიერი საკითხის გამოყენება შეუძლია, მაგრამ ამაზე შორს როგორ უნდა წავიდეს, არ ვიცი. ჩვენ კაპიტულირებული და განიარაღებული ქვეყანა ვართ. ვერ ვიქცევით ისე, როგორც სახელმწიფოს შეეფერება. ჩვენ არ ვართ ქართული სახელმწიფო.

– აქედან გამომდინარე, არათანმიმდევრულობა გასაოცარი არ არის? ჯერ პრემიერი დამთმობი წერილით მიმართავს რუსეთის ხელისუფლებას, შემდეგ პარლამენტი იღებს მკაცრ რეზოლუციას ოკუპანტის წინააღმდეგ, ცოტა ხანში კი აძევებენ რუს დიპლომატს..

– საქართველოს მყარი პოლიტიკა არც ერთ სფეროში არ გააჩნია. დიპლომატიაშიც ვიჭრებით. ემოციებით და ყვირილით გვინდა შედეგის მიღწევა. ეს ნაყოფს არ გამოიღებს. ამდენი პრობლემა დაგროვდა იმის გამო, რომ საქართველოში შეზღუდულია სიტყვის თავისუფლება.

– საქართველო ითვლება დემოკრატიულ ქვეყნად, სადაც სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება უზრუნველყოფილია.

– უზრუნველყოფილია ვიწრო წრისათვის. არასამთავრობო ორგანიზაციების ნაწილს ტელევიზიებში გადამეტებული დრო აქვს დათმობილი. ეს ხალხი საქმისა და პრობლემების ცოდნით არ გამოირჩევა. თუ სხაპასხუპით ან ყვირილით ლაპარაკობ, არ ნიშნავს, რომ ხელისუფლება ყველაფერში შენ უნდა დაგეთანხმოს.

– ხელისუფლება ამ სამოქალაქო აქტივისტებს ყველაფერში ეთანხმება?

– რასაკვირველია. ამ აქტივისტებს მძევლად ჰყავთ აყვანილი მთელი ქვეყანა. მათ წინაშე უკან იხევენ კომპეტენტური ჟურნალისტები. ამა თუ იმ სფეროს პროფესიონალებს, მცოდნე ადამიანებს, აკადემიურ წრეებს, სიტყვას გვიზღუდავენ. მადლობა „ახალ თაობას“, რომ საზოგადოების ფართო წრეს აძლევს აზრის გამოთქმის საშუალებას. მეცნიერები, გამოცდილი პროფესიონალები ტელეეთერებშიც უნდა გამოდიოდნენ. ეს აუცილებელია ქვეყნის განვითარებისათვის. აკადემიური წრეები მოვითხოვთ სიტყვის თავისუფლებას! აქტივისტები, მაგალითად, ტორონჯაძე და პატარაია გამოდიან ადამიანის უფლებათა დაცვის ეგიდით.

ქალთა უფლებების დამცველებმა „თავი ისახელეს“ იმით, რომ აღმოჩნდნენ ქალთა უფლებების დამრღვევები. ამის მაგალითია ზვიად დევდარიანი, რომლის წარდგენილი იყო საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეთვალყურეო საბჭოს წევრობის კანდიდატად. ის იყო თავისივე წრის მიერ შერჩეული კანდიდატი. ამ „ენჯეოების“ მონაწილეობით იდგმება შოუები, სადაც ფეხქვეშ თელავენ ქვეყნის ბედს, მორალს, ზნეობას და დიპლომატიას. ხელისუფლება ამათ ნება-სურვილს ემორჩილება როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკაში.

– ბოლოდროინდელი მოქმედებების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, „ქართული ოცნება“ ხან პატრიოტთა ალიანსის მოსაწონად იქცევა, ხან – „ევროპული საქართველოს“ საამებლად.

– მყარი პოლიტიკა რომ არ გააჩნიათ, ამიტომ ხდება ასე. „ევროპული საქართველოს“ წივილ-კივილი უშველის ქვეყანას? ან რომელი ევროპული ღირებულებების დამცველები არიან ეს ყოფილი ნაციონალები? პოლიტიკა, დიპლომატია რთული სფეროა. დიპლომატიას უნდა წარმართავდნენ დიპლომატები. საქმის კეთებას ცოდნა და ისტორიული პარალელები სჭირდება. ენა იმიტომ არ აქვს ადამიანს, რომ ყველაფერი იყბედოს. გერმანია და საფრანგეთიც წასულან კაპიტულაციაზე. ჩვენ იარაღაყრილი წაგებული ქვეყანა ვართ. პროფესიონალიზმი განსაკუთრებულად გვესაჭიროება. ხელისუფლება არ უნდა დადიოდეს ერთი მჩხავანა ჯგუფის ჭკუაზე.

– არ იმედოვნებთ, რომ მომხდარი და მოსალოდნელი სამთავრობო ცვლილებებით პოზიტიური ძვრები მოხდება?

– რა ძვრები უნდა მოხდეს? საქართველოს არჩევანი გაკეთებული აქვს. ქვეყნის საზღვრები გაერომ დაადგინა. ხელისუფლებამ სწორი გადაწყვეტილებებით ხალხს შვება უნდა მოჰგვაროს. გასაუმჯობესებელია სოციალური მდგომარეობა. უარი უნდა ითქვას ერთი ჯგუფის დიქტატზე, სხვებს უნდა მიეცეთ ტრიბუნა. გასაგრძელებელია ევროპული კურსი. შესასწავლია სააკაშვილის ის მოქმედებები, რომლებმაც შეაფერხა ჩვენი პროდასავლური სვლა. ეს გამოსაკვლევი საკითხია, ისევე, როგორც იმ პოლიტიკური ლიდერების წარსული, რომლებიც წლების წინ „კალაშნიკოვით“ დარბოდნენ, დღეს კი მთავარ ევროპელებად ასაღებენ თავს.

საგარეო მიმართულებით გონიერი მოქმედებებია გასატარებელი. ნურავინ იტყვის, რომ აფხაზეთს და ცხინვალის რეგიონს არასდროს არავინ აღიარებს. საუბედუროდ, ასე მარტივად არ არის საქმე. ადრე ამ რეგიონებს რუსეთიც არ ცნობდა, მაგრამ მერე მათი დამოუკიდებლობა აღიარა და იქ ოკუპაცია გააღრმავა.

ანდრია გვიდიანი: „გამორიცხულია, ალტერნატიული ენერგიის წყაროებმა ჩაანაცვლოს ტრადიციული ენერგია“

უნდა აშენდეს თუ არა მსხვილი ჰესები ქვეყანაში, ამ საკითხთან დაკავშირებით ცხარე დისკუსიაა არასამთავრობო სექტორსა და მთავრობის წარმომადგენლებს შორის. რადიო „კომერსანტის ეთერში, გადაცემაში „კომერსანტის თემა“ სალომე სოსელიასთან ერთად, ჰესების მნიშვნელობაზე ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაციის ანალიტიკოსმა ანდრია გვიდიანმა ისაუბრა.

– გარემოს დამცველები საუბრობენ, რომ ჰესები დიდ ზიანს აყენებს გარემოს და გრძელვადიან პერსპექტივაში ეს არ იქნება სასიკეთო ქვეყნისთვის და ეკონომიკის განვითარებისთვის. თქვენ რა პოზიცია გაქვთ ჰესების მშენებლობასთან დაკავშირებით?

– პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ გარემოს დამცველების მიერ გაკეთებული განცხადებები ხშირ შემთხვევაში არის გადაჭარბებული. ჩვენთან ჰიდროელექტროსადგურების უმრავლესობა შენდება საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების მხარდაჭერით, შესაბამისად, როდესაც პროექტს აფინანსებენ ისეთი საერთაშორისო ინსტიტუტები, როგორიც არის „იბიარდი“, მსოფლიო ბანკი და ა.შ. ეს უზრუნველყოფს იმას, რომ მშენებლობა ფინანსური ინსტიტუტების მიერ დადგენილი გარემოზე ზემოქმედების სტანდარტების მიხედვით მოხდება. ფინანსურ ინსტიტუტებს აქვთ უმაღლესი სტანდარტები გარემოს დაცვის პოლიტიკასთან დაკავშირებით. გადაჭარბებულია იმის თქმა, რომ საქართველო არის გამონაკლისი და საქართველოში არ ხდება გარემოზე ზემოქმედების კომპონენტების სრული გაანალიზება და შეფასება.

რაც შეეხება იმას, თუ რამდენად გვჭირდება და ზოგადად რამდენად მნიშვნელოვანია ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა, ერთმნიშვნელოვანი პასუხი არის ის, რომ ჩვენ გვჭირდება ახალი გენერაციის ობიექტები, წინააღმდეგ შემთხვევაში გამორიცხულია ქვეყნის როგორც ეკონომიკური, ისე პოლიტიკური და, ცხადია, ენერგეტიკული განვითარება. თუ ჩვენ არ გვექნება საკუთარი რესურსები, ყოველთვის ვიქნებით დამოკიდებული ჩვენ მეზობლებზე, რაც თავის მხრივ ენერგოუსაფრთხოების თვალსაზრისით წარმოადგენს ძალიან დიდ პრობლემას. როდესაც ვამბობთ, რომ გრძელვადიან პერსპექტივაში ეს იქნება წამგებიანი, ჩემი აზრით, ეს არის გაუაზრებელი ქცევა. ჩვენ თუ გადავხედავთ განვითარების სცენარებს და თუ დავუშვებთ, რომ 5- პროცენტიანი ზრდის შემთხვევაში ჩვენი მოხმარება გახდება 20 მილიარდ კილოვატზე მეტი, ჩვენ ეს გვაძლევს იმის თქმის საფუძველს, რომ ჩვენ ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის გარეშე პრაქტიკულად ჩამოგვეშლება მთლიანი ენერგეტიკული სისტემა.

– არასამთავრობო სექტორი ბუნების განადგურების საფრთხეებს ხედავს, იგივე მესტიაჭალაჰესის შემთხვევაში, ნენსკრაჰესის შემთხვევაში. რა იქნება თქვენი არგუმენტი ამასთან დაკავშირებით?

– რაც შეეხება მარეგულირებელ ჰიდროელექტროსადგურებს, აქ შეიძლება ვიდავოთ გარემოზე ზემოქმედების საკითხებზე. თქვენ მესტიაჭალაჰესი ახსენეთ, რომელიც არის მოდინებაზე გაკეთებული ჰიდროელექტროსადგური, რომელიც პრაქტიკულად არ ახდენს ზეგავლენას გარემოზე. ეს არის ე.წ. მწვანე ჰიდროელექტროსადგური და, შესაბამისად, გარემოზე ზემოქმედების თვალსაზრისით აკმაყოფილებს ყველა არსებულ სტანდარტს. ეს პროცესები აჩენს ეჭვებს, რომ პროცესები არის მართული კონკრეტული ჯგუფების ვიწრო მერკანტილური ინტერესებიდან გამომდინარე.

– ალტერნატიული ენერგიების ათვისებაზე რას იტყვით?

– ალტერნატიული ენერგიის წყაროები, რასაკვირველია, ძალიან საინტერესოა, მაგრამ წმინდა ტექნიკური თვალსაზრისით ალტერნატიული ენერგიის რაოდენობა 10-15% ზე მეტი მთლიან სისტემაში ვერ იქნება. შესაბამისად, როდესაც საუბრობენ ალტერნატიული ენერგიით ჩანაცვლებაზე, ეს არის არაპროფესიონალიზმის დამსახურება. პრაქტიკულად გამორიცხულია ალტერნატიული ენერგიის წყაროებმა ჩაანაცვლოს ტრადიციული ენერგია.

კომერსანტი

თბილისის მერიამ გენგეგმის მიღებაზე უარი განაცხადა

თბილისის საკრებულოში, დედაქალაქის მერი კახა კალაძე, მოადგილეებთან ერთად „სითი ინსტიტუტის“ წარმომადგენლებს შეხვდა.

შეხვედრაზე სითი ინსტიტუტის მიერ წარმოდგენილ გენგეგმაზე იმსჯელეს. როგორც თბილისი მერმა საგანგებო ბრიფინგზე განაცხადა, მერია სიტი ინსტიტუტის მიერ არსებული ფორმით შემოთავაზებულ გენგეგმაზე უარს ამბობს.

– გენერალური გეგმის არსებობა თბილისისთვის უმნიშვნელოვანესია სწორედ ამიტომ, ჩვენ მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ „სითი ინსტიტუტს“ ვალდებულებების შესრულება დავასრულებინოთ, – განაცხადა თბილისის მერმა კახა კალაძემ.

კახა კალაძის განცხადებით, მთავარია, რომ გენგეგმაში ჩადებული კონცეპტუალური ნაწილი იყოს გონივრულ დროში შესრულებადი და ქალაქის თითოეული მოქალაქის მოთხოვნებთან მაქსიმალურად მიახლოებული.

– ჩვენ დედაქალაქს გენერალური გეგმის მიღებას დავპირდით. მერიაში ჩემი მოსვლის პირველივე დღიდან გენერალური გეგმის ჯგუფთან დოკუმენტის სრულყოფაზე ინტენსიურად ვმუშაობთ. შეფასების და ანალიზის პროცესში ჩვენ საერთაშორისო ექსპერტები და სხვადასხვა დარგის სპეციალისტები ჩავრთეთ.

შედეგად წარმოდგენილი იყო შენიშვნები და მითითებები, რომელთა განხილვა საჯაროდ რამდენიმე დღის წინ მოხდა, შესაბამისად დავრწმუნდით, რომ არსებული სახით მასალების მიღება ვერ მოხდება.

ჩვენთვის მთავარია, რომ გენგეგმაში ჩადებული კონცეპტუალური ნაწილი იყოს გონივრულ დროში შესრულებადი და ქალაქის თითოეულ მოქალაქის მოთხოვნებთან მაქსიმალურად მიახლოებული, – განაცხადა კალაძემ.

მისივე თქმით, სამომავლოდ „სითი ინსტიტუტ“ საქართველოს გრძელვადიან პერსპექტივებზე გათვლილი მასალის მერიისთვის წარდგენა კვლავ შეუძლია.

– ჩვენ გენგეგმასთან დაკავშირებით დისკუსიას ვასრულებთ პოლემიკას და განხილვას. შენიშვნები, მათზე პასუხები და სამუშაოების ჩაბარებისთვის აუცილებელი პირობები დამუშავებული და შეჯერებულია.

გენერალური გეგმის არსებობა თბილისისთვის უმნიშვნელოვანესია, მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ სითი ინსტიტუტს ვალდებულებების შესრულება დავასრულებინოთ. ჩვენ ყველანაირად ხელს შევუწყობთ, რომ „სითი ინსტიტუტმა“ გრძელვადიან პერსპექტივებზე გათვლილი მასალა წარმოადგინოს, – განმარტა თბილისის მერმა.

თბილისის მერიამ „სითი ინსტიტუტს“ გენგეგმის დაზუსტებისთვის 2-თვიანი ვადა მისცა.

„კომერსანტი“

თებერვალში ეკონომიკის დაკრედიტება ბანკებმა 63,7 მლნ ლარით გაზარდეს

2018 წლის თებერვალში, წინა თვესთან შედარებით, კომერციული ბანკების მიერ ეკონომიკის დაკრედიტება 63.7 მლნ ლარით გაიზარდა და 21.54 მლრდ ლარს გაუტოლდა.

ეროვნული ბანკის მონაცემებით, კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხების პორტფელის წლიურმა ზრდის ტემპმა კი 18.0 პროცენტი შეადგინა. გაცვლითი კურსის ეფექტის გარეშე, სესხების წლიური ზრდა 17.3 პროცენტი იყო.

როგორც ეროვნული ბანკის ანგარიშშია ნათქვამი, საკრედიტო პორტფელის ზრდაზე გავლენა მოახდინა ეროვნული ვალუტით გაცემული სესხების ზრდამ. თებერვლის ბოლოსთვის, საკრედიტო პორტფელის 82.8 პროცენტი გრძელვადიან სესხებზე მოდიოდა, რომლის 59.6 პროცენტი უცხოური ვალუტით იყო გაცემული. მოკლევადიან სესხებში კი უცხოური ვალუტით სესხების წილი 37.4 პროცენტს შეადგენდა.

საანგარიშო პერიოდში, ეროვნული ვალუტით გაცემული სესხები 146.9 მლნ ლარით (1.6 პროცენტით) გაიზარდა და 9.52 მლრდ ლარს გაუტოლდა. უცხოური ვალუტით გაცემული სესხების მოცულობა თებერვალში 4.5 მლნ აშშ დოლარით (0.1 პროცენტით) შემცირდა წინა თვესთან შედარებით და პერიოდის ბოლოს 4.96 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა.

ამ კატეგორიის კრედიტების 57.9 პროცენტს იურიდიულ პირებზე გაცემული სესხები შეადგენდა, ხოლო 86.4 პროცენტი გრძელვადიან დაკრედიტებას უჭირავს. უცხოური ვალუტით დაკრედიტების შემცირება, ძირითადად, იურიდიული პირების სესხების დაკრედიტების კლებით არის გამოწვეული.

იპოთეკით დატვირთული 287 ათასი ქონებიდან 200 ათასი კერძო მევახშეებზე მოდის

საქართველოში იპოთეკით დაზარალებულთა პრობლემა კვლავაც მწვავედ დგას.

მოქალაქეთა ერთი ნაწილი სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო საცხოვრებლის დაკარგვის საფრთხის წინაშეა. დღეს საჯარო რეესტრში 287 ათასი იპოთეკით დატვირთული ქონებაა რეგისტრირებული, საიდანაც მხოლოდ 42 ათასი მოდის კომერციული ბანკების წილად. დაახლოებით ერთი ამდენი გარანტიად აქვთ ჩადებული მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს, ხოლო 200 ათასამდე ერთეული ქონება კერძო მევახშეების ხელშია.

პარლამენტში იპოთეკით დატვირთულ ქონებასთან დაკავშირებით ახალ საკანონმდებლო ინიციატივაზე მსჯელობენ. კანონპროექტის თანახმად, შემოდის ახალი ცნება – ბოლო საცხოვრისი, ანუ უძრავი ქონება, რომელიც წარმოადგენს მოვალისა და მისი ოჯახის წევრებზე საჯარო რეესტრში რეგისტრირებულ ერთადერთ უძრავ ნივთს. იმ შემთხვევაში, თუ, მაგალითად, ფიზიკურ პირს ერთადერთი სახლი აქვს ბანკში ჩადებული, ანდა კერძო მევახშესთან იპოთეკის ხელშეკრულება აქვს გაფორმებული და თანხას ვერ დაფარავს, ბანკი ან მევახშე ამ ქონებას 3 წლის განმავლობაში ვერ გაყიდის. კანონპროექტის თანახმად, თუ მოვალე თანხას 3 წლის შემდეგაც არ დაფარავს, აღმასრულებელს უფლება ეძლევა, უძრავი ქონება გაასხვისოს.

იმ შემთხვევაში, თუ ფიზიკური პირის ბოლო საცხოვრისი უკვე რეალიზებულია, მაგრამ ის იძულებით არ არის იქიდან გამოყვანილი, ამ კანონის ამოქმედებიდან 3 წლის განმავლობაში მას შეუძლია გამოისყიდოს გასხვისებული ქონება იმ ოდენობის თანხით, რამდენადაც ეს უძრავი ქონება იძულებით აუქციონზე გაიყიდა, ხოლო თუ ამ ვადაშიც არ გამოისყიდის, მაშინ კანონიერ მესაკუთრეს შეუძლია უკვე შეუზღუდავად მოითხოვოს მისი გამოსახლება.

კანონპროექტის ავტორების აზრით, მხოლოდ ამგვარად რეგულირების შემთხვევაშია შესაძლებელი კრედიტორსა და მოვალეს შორის ურთიერთობის დაბალანსება და მოქალაქეების დაცვა უსახლკაროდ დარჩენისგან.

რაც შეეხება ბანკებში ჩადებული უძრავი ქონების სტატისტიკას, ეროვნული ბანკის 2018 წლის იანვრის მონაცემებით, უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი და ლარში გაცემული სესხების მოცულობა 3,3 მილიარდი ლარია, რაც შარშანდელზე 72%-ით მეტია. მხოლოდ წლეულს იანვარში კომერციული ბანკების მიერ დასაკუთრებულმა ქონებამ 209,5 მლნ ლარი შეადგინა.

ბექა ფერაძე, იურისტი:

– ახალი კანონპროექტის ერთ-ერთი ინიციატორი: დღეს ქვეყანაში 287 ათასი იპოთეკით დატვირთული ქონებაა რეგისტრირებული და აქედან დაახლოებით 70% გაპრობლემებულია, ანუ ადამიანები ვერ იხდიან აღებულ ფინანსურ ვალდებულებას და ემუქრებათ საფრთხე, რომ გარანტიად ჩადებული ქონება დაკარგონ. ეს კი ნიშნავს, რომ მოსახლეობის დაახლოებით 25%-ია დღეს ასეთ მძიმე ფინანსურ მდგომარეობაში. 2006 წელს სამოქალაქო კოდექსში შეტანილი ცვლილებების შედეგად, კრედიტორსა და მოვალეს შორის არსებული საკანონმდებლო ბალანსი მნიშვნელოვნად გადაიხარა კრედიტორების სასარგებლოდ და დღეს მოვალე, ფაქტობრივად, დაუცველია. კანონი შესაძლებლობას აძლევს კრედიტორს, რაც შეიძლება მარტივად ჩაიგდოს ხელში მოვალის ქონება. ეს მხოლოდ ბანკებს არ ეხება. მეტსაც გეტყვით, არსებული 287 ათასი იპოთეკური სესხიდან, ეროვნული ბანკის ინფორმაციით, დაახლოებით 42 ათასია საბანკო ორგანიზაციების მიერ გაცემული იპოთეკური კრედიტი. დღეს მოქმედი კანონმდებლობით, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს არა აქვთ ვალდებულება, აღრიცხონ და სებ-ს ამის შესახებ ინფორმაცია მიაწოდონ, მაგრამ ყველა ფაქტობრივი გარემოების გათვალისწინებით, იმაზე მეტი იპოთეკური სესხი ვერ ექნებათ, ვიდრე ბანკებს აქვთ გაცემული. შესაბამისად, გვრჩება დაახლოებით 200 ათასი იპოთეკა, რომელიც კერძო მევახშეების ხელშია. სულ ცოტა, 10 ათასი დოლარი რომ ვიანგარიშოთ თითოეულ სესხზე, დაახლოებით 2 მილიარდი დოლარის ვალი აქვთ მოქალაქეებს კერძო მევახშეების მიმართ. აღარაფერს ვამბობ იმ კაბალურ პირობებსა და მაღალ პროცენტებზე, რის გამოც ხშირად აღებული სესხის სანაცვლოდ ადამიანებს ორჯერ, სამჯერ და კიდევ მეტის გადახდა უწევთ.

თუ გადავხედავთ სხვადასხვა ქვეყანაში განვითარებულ ე.წ. იპოთეკურ კრიზისს, არც ერთ შემთხვევაში ის არ შეხებია კონკრეტული ქვეყნის მოსახლეობის 3%-ზე მეტს, ჩვენთან კი მოსახლეობის 20-25%-ს უსახლკაროდ დარჩენა ემუქრება. ესენი არიან, ძირითადად, მცირე მეწარმეები, აგრეთვე ისინი, ვინც სახლი ოჯახის წევრის ჯანმრთელობის გამო დატვირთა იპოთეკით, ან ახლობლის ციხიდან გამოსახსნელად გირაოსთვის თანხა დასჭირდა.

ყველა ამ კატეგორიის მსესხებელმა კერძო მევახშეს მხოლოდ მას შემდეგ მიმართა, რაც ბანკებმა მათ სესხის გაცემაზე უარი უთხრეს.

მეორე მხრივ, შეუძლებელია, კერძო მევახშეების ხელში მილიარდობით ღირებულების ქონება და კაპიტალი იყოს – თუ ეს ბანკების ინტერესში არ იქნება. სწორედ ამიტომ არის გასამკაცრებელი კომერციული ბანკების კონტროლი, რათა ისინი არაპროფილურ საქმიანობას არ მისდევდნენ და საცეცები ყველა მიმართულებით არ ჰქონდეთ გაშლილი (გავრცელებული მოსაზრებით, მიუხედავად შეზღუდვებისა, ბანკები კვლავაც ახორციელებენ არაპროფილურ საქმიანობას და ონლაინსესხების ბიზნესის გარდა, მევახშეობასთანაც არიან დაკავშირებული).

სწორედ ამიტომ არის საჭირო სასწრაფო ცვლილებები საკანონმდებლო დონეზე, რადგან ზოგჯერ წარმოუდგენელ შედეგამდე მივყავართ დღევანდელ კანონმდებლობას, რომელიც კრედიტორს, კერძო მევახშეს განუზომელ ძალაუფლებას აძლევს. მაგალითისთვის საკმარისია ნოტარიული სააღსრულებო ფურცელიც, რომელიც სასამართლოს უფლებებშიც კი იჭრება. კანონში პირდაპირ წერია, რომ სააღსრულებო ფურცლის გასაჩივრება არ იწვევს მისი მოქმედების შეჩერებას. ამავე დროს ნოტარიუსი არ არის ვალდებული გადაამოწმოს, ვალი გადახდილია თუ არა. შესაბამისად, სავსებით შესაძლებელია, უკვე გადახდილ ვალდებულებაზე აღიძრას სააღსრულებო საქმის წარმოება და გასაჩივრება კი მას არ შეაჩერებს. მარტივად რომ ვთქვათ, ფაქტობრივად, კერძო მევახშეს, თუ არაკეთილსინდისიერებას გამოიჩენს, კანონი უფლებას აძლევს, გადახდილი ვალდებულების შემთხვევაშიც, ხელში ჩაიგდოს ვალში ჩადებული ქონება.

პარლამენტში შესული საკანონმდებლო ინიციატივა ხუთი პაკეტისგან შედგება, სადაც საუბარია როგორც სამოქალაქო კოდექსში გასატარებელ ცვლილებებზე, ასევე შემოდის ბოლო საცხოვრისის ცნებაც. დღეს მოქმედი კანონი ამ ცნებას საერთოდ არ იცნობს.

ცვლილებების თანახმად, როცა აღმასრულებელი სააღსრულებო საქმის წარმოებას განიხილავს, იგი ვალდებული იქნება შეამოწმოს, ხომ არ არის იპოთეკით დატვირთული მოვალის ბოლო საცხოვრისი, ანუ მასა და მის ოჯახის წევრებზე რეგისტრირებული ერთადერთი საცხოვრებელი. ასეთ შემთხვევაში აღმასრულებელი ვალდებული იქნება, აღსრულება 3 წლის ვადით შეაჩეროს.

ამ პერიოდში მოვალეს ეკისრება, რომ კრედიტორის სასარგებლოდ დღეს არსებული საშუალო წლიური საპროცენტო განაკვეთის 1/12 ყოველთვიურად გადაიხადოს; ანუ ხდება ბალანსის დაცვა, რომ მეორე მხარის – კრედიტორის ინტერესებიც იყოს დაცული. თუ ამ 3 წელიწადში მოვალე იპოთეკურ სესხს არ გადაიხდის, კრედიტორის მოთხოვნის საფუძველზე აღმასრულებელი ვალდებული იქნება, სააღსრულებო საქმის წარმოება განაახლოს და ქონება გაასხვისოს.

დღეს მოვალეების თითქმის 90% ქონებას კარგავს, ფაქტობრივად, ნულოვან აუქციონზე. თუ პირობითად მოვალეს 1.000 ლარი აქვს ვალი და იპოთეკით დატვირთული მისი ქონების საბაზრო ღირებულება 10 ათასია, აუქციონზე ის, ფაქტობრივად, კაპიკებად იყიდება და მოვალეს ვალი გადაუხდელი რჩება. ეს არ ეხება მხოლოდ ბანკებს, მათზე სახიფათო კრედიტორები კერძო მევახშეები არიან. ისინი პირდაპირ ნადირობენ ქონებაზე. ამიტომაც არის აუცილებელი კანონში ცვლილებების შეტანა, რათა მოვალეებს მივცეთ შანსი, საცხოვრისიც შეინარჩუნონ და ვალიც გადაიხადონ. კრედიტორისთვის კი მთავარი უნდა იყოს თანხის უკან დაბრუნება, რომ შემდეგ სხვას ასესხოს და არა ის, რომ მაინცდამაინც ბინიდან გამოასახლოს მსესხებელი.

კერძო მევახშეები, ძირითადად, მოკლევადიან, ძვირადღირებულ სესხებს გასცემენ, წლიურ დაახლოებით 100%-ად და 3 თვის შემდეგ ერთიანად სთხოვენ მოვალეს პროცენტთან ერთად ძირი თანხის დაფარვასაც. კანონპროექტში განსაზღვრული 3-წლიანი პერიოდი მათ შესაძლებლობას მისცემს, ფინანსურადაც მოძლიერდნენ, დააგროვონ თანხა, ან თავად გაყიდონ იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონება და ვალიც გადაიხადონ. გარდა ამისა, ჩვენ გვაქვს საკანონმდებლო ინიციატივა, რომ თუ მოვალე გადაიხდის ძირი თანხის ორმაგ ოდენობას, ეს ვალდებულება გადახდილად ჩაითვალოს.

მერაბ ჯანიაშვილი, ანალიტიკოსი:

– იპოთეკური სესხი თავის არსით, არის უზრუნველყოფილი სესხი, ყველაზე დაბალრისკიანი და, შესაბამისად, ყველაზე მიმზიდველი საკრედიტო ორგანიზაციებისთვის. ამიტომაც კმაყოფილდება იპოთეკური სესხების განაცხადების, ალბათ, 99%. მარტივად რომ ვთქვათ, ლომბარდში ხომ არავინ ინტერესდება, ადამიანს რა მიზნით სჭირდება თანხა, ის ქონებას დებს გარანტიად და თანხას აძლევენ. დაახლოებით იგივე მდგომარეობაა ბანკებში, სხვა საკრედიტო დაწესებულებებში და კერძო მევახშეებთან. ხშირად ისე გასცემენ სესხს, რომ არც კი ინტერესდებიან, აქვს თუ არა მსესხებელს დადასტურებული შემოსავალი. რაკი ქონება აქვს ჩადებული, სხვა არც არაფერი აინტერესებთ, თანაც სესხად გაიცემა ქონების ღირებულების მხოლოდ მესამედი.

სამწუხაროდ, მთელი ეს სისტემა ისეა მოწყობილი, კრედიტორებს ის უფრო აწყობთ, რომ მსესხებელმა სესხი ვერ გადაიხადოს და ქონება დაკარგოს, ვიდრე ის, რომ კარგი გადამხდელი იყოს. გადაუხდელობის შემთხვევაში კრედიტორი უფრო მეტ სარგებელს იღებს მოვალისგან, რადგან სესხს ერიცხება ჯარიმები, საურავები, პირგასამტეხლო და ქონების ხელში ჩაგდების შანსიც იზრდება... ეს ყველაფერი ნამდვილად არ მოიტანს სიკეთეს და კრიზისამდე მიგვიყვანს. ამიტომ, თუ გვინდა კრიზისი თავიდან ავიცილოთ და ევროპულ სტანდარტებსაც მივუახლოვდეთ, რეგულაციები აუცილებელია. მაგალითად, ყველა საბანკო ხელშეკრულებაში არსებობს მუხლი, რომელიც ამბობს, რომ ბანკს ნებისმიერ დროს, ერთპიროვნული გადაწყვეტილებით, შეუძლია მოვალეს შეუცვალოს ნებისმიერი მუხლი ხელშეკრულებაში, ნებისმიერი პირობა, პირგასამტეხლო, ჯარიმა თუ საპროცენტო განაკვეთი, ვადაზე ადრე მოგთხოვოთ თანხა და სხვ. როცა იპოთეკით დატვირთული ქონების ასეთ დიდ მასშტაბებზეა ლაპარაკი, მიზეზებიც უნდა ვნახოთ, რატომ არის გაცემული ამდენი იპოთეკური სესხი. ეს სესხები ხშირად გამოიყენება არამიზნობრივად. წესით, ეს არის სესხი ქონების შესაძენად, ჩვენთან კი ამ სახის სესხებს იღებენ ჯანმრთელობის პრობლემების გამო ან ბიზნესის დასაწყებად. ორივე შემთხვევაში ამ მიზნებისთვის ასეთი სესხის აღება სრულიად გაუმართლებელია. ჩვენთან საბანკო სექტორი ისეა მოწყობილი, რომ ადამიანს, რომელსაც ბიზნესის დაწყება უნდა ან მისი განვითარება სურს, ბანკი ან საკრედიტო ორგანიზაცია აიძულებს იპოთეკური სესხის აღებას. მაშინ, რად გვინდა ბიზნესსესხი? იმავე ბიზნესსესხების შემთხვევაშიც, ბანკები ბიზნესის მფლობელებს თავდებში ქონების ჩადებას სთხოვენ. ესეც მახინჯი პრაქტიკაა.

ახლა რაც შეეხება საპროცენტო განაკვეთებს, ოფიციალურად იპოთეკურ სესხებზე ნომინალური საპროცენტო განაკვეთი ლარში 13,3%-ია, ხოლო დოლარში – 8,4%, მაგრამ ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ხშირად უფრო მაღალია, თან ეს ყველაზე გრძელვადიანი სესხია, 10-15 წლის ვადით და ამ ვადაზე გაანგარიშებით ყველაზე ხარჯიანია მსესხებლისთვის. რომ შევადაროთ ბანკების საპროცენტო შემოსავლები და საპროცენტო ხარჯები, ამ მონაცემებელს შორის სხვაობა ყოველ წელს იზრდება – ანუ სულ უფრო ნაკლები უჯდებათ ბანკებს დეპოზიტების მომსახურება და სულ უფრო მაღალ შემოსავლებს იღებენ სესხებზე გაცემული პროცენტებისგან. შედეგად, ქვეყანაში ვითარდება საბანკო სექტორი, რომელიც მილიარდიან მოგებას იღებს, მაგრამ შესაბამისად არ და ვერ ვითარდება ეკონომიკა. ბანკების წილი ეკონომიკაში მინიმალურია. პარადოქსია, რომ ქვეყანაში ყველაზე განვითარებულ სექტორად ითვლება საბანკო სფერო და ბიზნესს უმთავრეს პრობლემად ფინანსებზე ხელმისაწვდომობა მიაჩნია.

ბიბიენი

ავტოსაგზაო შემთხვევებით გამოწვეულმა ხარჯებმა 738 მლნ დოლარი შეადგინა

მსოფლიო ბანკის შეფასებით, საქართველოში ავტოსატრანსპორტო შემთხვევებით გამოწვეული ტრავმების და ფატალური შემთხვევების ხარჯებმა (დაკარგული შემოსავალი, სამედიცინო, ადმინისტრაციული და დაზიანებული ქონების ხარჯები) 2015 წელს მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) დაახლოებით – 5% (738 მილიონი აშშ დოლარი) შეადგინა.

– საგზაო შემთხვევა ხშირად დაზარალებულის შრომისუნარიანობის დაკარგვით, მძიმე ტრავმებით და მაღალი სამედიცინო ხარჯებით სრულდება, რასაც უარყოფითი ეკონომიკური გავლენა აქვს დაზარალებულის ოჯახზე, ჯანდაცვის სისტემასა და საზოგადოებაზე, – ნათქვამია სახელმწიფო აუდიტის ანგარიშში, რომელიც საგზაო უსაფრთხოებას ეხება.

შსს-ს ოფიციალური მონაცემებით, 2016 წელს ავტოსაგზაო შემთხვევით გარდაცვლილთა 58% 26-დან 60 წლამდე ასაკისაა, რაც ნიშნავს, რომ საგზაო შემთხვევის მონაწილეები სოციალური და ეკონომიკური თვალსაზრისით ყველაზე აქტიური მოქალაქეები არიან.

საქართველოში რეგისტრირებული ავტომობილების რაოდენობა ყოველწლიურად დაახლოებით 8%-ით იზრდება

საქართველოში ოფიციალურად რეგისტრირებულია 1,2 მილიონი ავტოსატრანსპორტო საშუალება, მათ შორის, 0,9 მილიონი მსუბუქი ავტომანქანა და 1,3 მილიონი მართვის მოწმობა.

ოფიციალურად რეგისტრირებული ავტომობილების რაოდენობა წლიურად დაახლოებით 8%-ით იზრდება. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ქვეყნის მოსახლეობა 3,7 მილიონი ადამიანია და მოსახლეობის დაახლოებით 20%, 17 წლამდე ასაკისაა, გამოდის, რომ საშუალოდ, ქვეყანაში ყოველი მესამე ზრდასრული მოსახლე ერთზე მეტ ავტომობილს და მართვის მოწმობას ფლობს.

2016 წელს საქართველოში 6,939 სისხლის სამართლის საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა დაფიქსირდა, რაც გულისხმობს, რომ საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევამ სიცოცხლის მოსპობა ან ჯანმრთელობის საშუალო ან მძიმე დაზიანება გამოიწვია.

ამავე წელს, ადმინისტრაციული შეჯახებების რაოდენობა 32,015-ს შეადგენს, რაც დაკავშირებულია ქონების ან სხეულის მსუბუქ დაზიანებასთან. თუ გავითვალისწინებთ, რომ ერთი წლის მანძილზე საგზაო სატრანსპორტო შემთხვევების რაოდენობა 38,954-ს შეადგენს, გამოდის, რომ დღეში დაახლოებით 107 ავტოსატრანსპორტო შემთხვევა აღირიცხება და წლის განმავლობაში ყოველი 30-ე ავტომობილი ავტოსატრანსპორტო შემთხვევას ახდენს.

საავტომობილო გზების დეპარტამენტს ახალი თავმჯდომარე ჰყავს

საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარეს გიორგი სეთურიძეს ირაკლი ქარსელაძე შეცვლის. გადაწყვეტილება რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა მაია ცქიტიშვილმა მიიღო. ირაკლი ქარსელაძე აქამდე თანაინვესტირების ფონდს ხელმძღვანელობდა.

საავტომობილო გზების დეპარტამენტის, ახლა უკვე ყოფილი თავმჯდომარე, გიორგი სეთურიძე სხვადასხვა მედია საშუალებამ და არასამთავრობო ორგანიზაციამ ტენდერების არაკვალიფიციურ და მიკერძოებულ ჩატარებაში არაერთხელ დაადანაშაულა.

საუბარია ჩინურ კომპანია სინოჰიდროზე, რომელიც სამტრედია- გრიგოლეთის შემოვლითი გზის მშენებლობას ახორციელებს.

მედიაში გავრცელებული ინფორმაციით, იყო შემთხვევები, როდესაც საავტომობილო გზების დეპარტამენტში ჩატარებულ ტენდერებში ის კომპანიები იმარჯვებდნენ, რომლებშიც მოგვიანებით აღნიშნული დეპარტამენტის მაღალჩინოსნები დასაქმდნენ.

ბათუმში 12 წლის ბიჭის დაჭრაში ბრალდებული არასრულწლოვანია

ბათუმის მეშვიდე საჯარო სკოლის დირექტორის განცხადებით, ინციდენტი, რა დროსაც მეექვსე კლასის მოსწავლე დაშავდა, გაკვეთილების დასრულების შემდეგ მოხდა.

შორენა ქონიაძის თქმით, დაჭრის ფაქტს არ აღიარებს და აცხადებს, რომ მან დაზიანება დაცემის შედეგად მიიღო.

დირექტორის თქმით, ინციდენტი სკოლის მიმდებარედ, ეზოში მოხდა.

12 წლის მოზარდი ბათუმის დედათა და ბავშვთა ცენტრშია გადაყვანილი. მას ჭრილობა ფეხის არეში აღენიშნება.

როგორც „ნიუპოსტს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, ბრალდებულის ვინაობა დადგენილია. ის არასრულწლოვანია, შესაბამისად, ამ დროისთვის არ დაუკავებიათ.

ფაქტზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 118-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც ჯანმრთელობის მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანებას გულისხმობს.

მოზარდს დაზიანება წვივის არეში აღენიშნება. ის ბათუმის დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის რესპუბლიკურ ცენტრშია გადაყვანილი.

როგორც ექიმმა ჟურნალისტებს განუცხადა, მოზარდი ექიმების მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება და კლინიკას, სავარაუდოდ, რამდენიმე საათში დატოვებს. ნაირა ფარტენაძის განცხადებით, მოზარდს კვანძოვანი ნაკერები დაედო.

ბახალას 20 წელი ან უვადო პატიმრობა ემუქრება

მსახიობ გიორგი გიორგანაშვილს ახალი ბრალი წარედგინა – „ბახალას“ ახალი ბრალი სასჯელაღსრულების დაწესებულებაში გააცნეს. მსახიობს გამოძიება ქვეყანაში დიდი რაოდენობით ნარკოტიკული საშუალებების შემოტანის ორგანიზებაში მონაწილეობას ედავება. გიორგანაშვილი ბრალს არ აღიარებს, თუმცა ადასტურებს, რომ შსს-ს მიერ მოყვანილ პერიოდში ის თურქეთში იმყოფებოდა.

გიორგანაშვილს დიდი ოდენობით ნარკოტიკების შეძენა-შენახვისთვის 8-წლიანი პატიმრობა უკვე მისჯილი აქვს. იმ შემთხვევაში თუ მსახიობს ქვეყანაში ნარკოტიკული საშუალებების შემოტანის საქმეზე მონაწილეობა დაუმტკიცდება გიორგანაშვილს 20-წლიანი ან უვადო პატიმრობა ემუქრება.

სერგო მეთოფიშვილი: „ის ფორმა, რომ ზოგჯერ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომა რეალითი შოუში გადაიზრდება, არ მომწონს“

– იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლე წევრის სერგო მეთოფიშვილის განცხადებით, ღია სხდომების დახურვას საბჭოს რამდენიმე წევრი მხარს უჭერს, თუმცა ვისზეა საუბარი, მას არ დაუკონკრეტებია, – ამის შესახებ სერგო მეთოფიშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა.

სერგო მეთოფიშვილის განმარტებით, დღევანდელ სხდომაზე ამ საკითხზე მსჯელობა არ იქნება, თუმცა ის აპირებს, რომ სხდომის დახურვის თაობაზე კონკრეტული წინადადებით იუსტიციის უმაღლეს საბჭოს უახლოეს მომავალში მიმართოს.

მეთოფიშვილმა ის მიზეზები განმარტა, თუ რატომ სურს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ღია სხდომების დახურვა. მისივე თქმით, საბჭოს არამოსამართლე წევრი ნაზი ჯანეზაშვილი იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომის ტრიბუნას პოპულისტური განცხადებების გაკეთებისთვის იყენებს, ხოლო „იმისთვის, რომ საბჭო რეალითი შოუს არ დაემსგავსოს, უმჯობესია, დაიხუროს“.

– ჯერ ერთი, ეს პირველად არ მითქვამს, ამასთან დაკავშირებით ჩემი პოზიცია ადრეც მქონდა გამოხატული. დღესაც ვმუშაობ ამ საკითხებთან მიმართებაში. ის ფორმა, რომ ზოგჯერ სხდომა რეალითი შოუში გადაიზრდება, არ მომწონს. მარტო მე კი არ მომწონს, კიდევ არსებობენ ადამიანები, ვისაც ეს არ მოსწონთ. ალბათ, მაშინ როცა დავაყენებ ჩემს წინადადებას, გამოჩნდება, ვისზეა საუბარი. მინდა საზოგადოებამ იცოდეს, რომ ჭიქაში ტყუილად არის ქარიშხალი ატეხილი, სკანდალი ტყუილადაა ატეხილი, რადგან მე არ ვარ მომხრე იმისა, რომ საბჭომ საკითხები მალულად, ფარულად განიხილოს. როდის მივმართავ საბჭოს ინიციატივით, ეს აუცილებლად გახდება ცნობილი. იმის მომხრე არ ვარ, რომ სხდომები საზოგადოებისგან დაფარული იყოს, თუმცა ასევე მაგალითს მოვიყვან, რომ რამდენჯერმე ერთ-ერთი არამოსამართლე წევრის – ნაზიბროლა ჯანეზაშვილის მიერ საკითხი იყო გამოტანილი, მან სხდომაზე ერთი და იგივე საკითხი რამდენჯერმე დააყენა. ამის მიზანი ალბათ, პოპულისტური განცხადებების კეთებაა. საბჭოს სხდომები უფრო საქმიანი მინდა იყოს და არა პოპულისტური განცხადებების კეთების ტრიბუნა, – განაცხადა სერგო მეთოფიშვილმა.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომაზე დღის წესრიგით გათვალისწინებულ ცხრა საკითხს განიხილავენ.

ბათუმში ქსოვილების მაღაზიას ხანძარი გაუჩნდა

ბათუმში გორგილაძის ქუჩაზე სამკერვალოს და ქსოვილების მაღაზიას ცეცხლი გაუჩნდა. თვითმხილველების თქმით, შემთხვევის შედეგად არავინ დაშავებულა, განადგურდა ობიექტში არსებული პროდუქცია. ხანძარი ამ დროისთვის ლოკვიდირებულია.

ადგილზე სახანძრო-სამაშველო ჯგუფები და სამართალდამცავები მუშაობდნენ.

ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც ნივთის დაზიანებას ან განადგურებას გულისხმობს.

ავარია წყალტუბოსთან – გარდაცვლილია ერთი ადამიანი

ქუთაისი-წყალტუბოს გზაზე მაღალი სიჩქარით მოძრავი ავტომობილი ქვეითად მოსიარულეებს დაეჯახა, ერთი ადამიანი ადგილზე გარდაიცვალა, ხოლო მეორე საავადმყოფოშია გადაყვანილი.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მე-5 ნაწილით აღიძრა, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია.

გორში დენის დარტყმის შედეგად მამაკაცი გარდაიცვალა

გორის მუნიციპალიტეტის სოფელ მერეთში დენის დარტყმის შედეგად მამაკაცი გარდაიცვალა, მეორე კი დაშავდა, რომელიც საავადმყოფოშია მოთავსებული.

ადგილობრივების ინფორმაციით, მამაკაცი მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზის ბოძზე იყო ასული. მისმა თანასოფელელმა დახმარება სცადა, რის გამოც დაზიანებები თავადაც მიიღო.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 116-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც სიცოცხლის გაუფრთხილებლობით მოსპობას გულისხმობს.

ომბუდსმენი: „მაჩალიკაშვილის საქმე შესწავლის საგანი უნდა გახდეს“

– თემირლან მაჩალიკაშვილის საქმეში განაკუთრებული შესწავლის საგანი უნდა გახდეს დაკავების თაობაზე სასამართლოს განჩინების მიღებიდან ოპერაციის ჩატარებამდე შემუშავებული დაკავების გეგმა და ოპერაციაზე კონტროლი, – ამის შესახებ ნათქვამია ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ საქართველოს სახალხო დამცველის 2017 წლის ანგარიშში, რომელიც პარლამენტს წარედგინა. ანგარიშის მიხედვით, ამ ფაქტობრივი გარემოებების ანალიზით ნათელი გახდება, გაითვალისწინა თუ არა ოპერაციის ჩამტარებელმა უწყებამ ძალის პროპორციული გამოყენებისთვის ყველა შესაძლებლობა, რათა გამოუსწორებელი შედეგი – სიკვდილი აერიდებინა თავიდან.

– გასული საანგარიშო პერიოდისგან განსხვავებით, 2017 წლის დეკემბერში პანკისის ხეობაში, ტერორისტულ დანაშაულთან დაკავშირებით ჩატარებული სპეცოპერაციისას თემირლან მაჩალიკაშვილის გარდაცვალება კვლავ აბრუნებს სახალხო დამცველის განხილვის საგნად სიცოცხლის უფლების ეფექტიანი დაცვის პრობლემას. სიცოცხლის უფლება ამ საქმეში დაცული მხოლოდ მაშინ იქნება, თუ სახელმწიფო დაკისრებულ პოზიტიურ ვალდებულებას ჯეროვნად შეასრულებს – ეფექტიანად, დროულად და მიუკერძოებლად გამოიძიებს ფაქტს, სადაც საეჭვოა უფლებადამრღვევები შესაძლოა სახელმწიფოს წარმომადგენლები იყვნენ. ტერორიზმთან ბრძოლა დღევანდელი მსოფლიოს ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა, თუმცა მასთან ბრძოლის პარალელურად ადამიანის ფუნდამენტური უფლებების დაცვა სახელმწიფოს უმთავრეს ვალდებულებად რჩება. 2017 წლის ივლისის ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია წევრი ქვეყნების მიმართ სპეციალური საგამოძიებო ღონისძიებების გამოყენებაზე მძიმე დანაშაულებთან და მათ შორის ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ, კვლავ ახსენებს სახელმწიფოებს, რომ ამ ღონისძიებათა გამოყენებისას აუცილებელია პროპორციულობის და საფუძვლიანობის გათვალისწინება. აუცილებელია, აღინიშნოს, რომ მოცემულ შემთხვევაში, იგეგმებოდა/ტარდებოდა სისხლის სამართლის საქმეზე პირის დაკავების ოპერაცია. განსაკუთრებული შესწავლის საგანი უნდა გახდეს დაკავების თაობაზე სასამართლოს განჩინების მიღებიდან ოპერაციის ჩატარებამდე შემუშავებული დაკავების გეგმა და ოპერაციაზე კონტროლი.

ამ ფაქტობრივი გარემოებების ანალიზით ნათელი გახდება, გაითვალისწინა თუ არა ოპერაციის ჩამტარებელმა უწყებამ ძალის პროპორციული გამოყენებისთვის ყველა შესაძლებლობა, რათა გამოუსწორებელი შედეგი – სიკვდილი აერიდებინა თავიდან. სწორედ ეს საკვანძო ფაქტორი განსაზღვრავს მთლიანობაში სახელმწიფოს მიერ მაჩალიკაშვილის სიცოცხლის უფლების დაცვის ხარისხს – ეფექტიანი გამოძიებით დაადგენს თუ არა სახელმწიფო იმას, რამდენად იმოქმედეს მისმა წარმომადგენლებმა

კანონით განსაზღვრული მკაცრი აუცილებლობით, – ნათქვამია ანგარიშში.

სახალხო დამცველის მიიჩნევს, რომ გამოყენებული ძალის პროპორციულობის შესაფასებლად მნიშვნელოვანია ასევე, უშუალოდ ოპერაციის დროს სპეცდანიშნულების რაზმის მოქმედების გარემოებების დეტალური შესწავლა, და მათ შორის, ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების შესახებ გაფრთხილების საკითხის დადგენაც.

– გამოყენებული ძალის პროპორციულობასთან ერთად, ასევე, მნიშვნელოვანია მისი საფუძვლიანობის შესწავლაც – რა სამართლებრივი და ფაქტობრივი გარემოებები მიუთითებდა თემირლან მაჩალიკაშვილის დაკავების აუცილებლობაზე. სწორედ ამიტომ მოცემული საქმის გამოძიების ფარგლებში მნიშვნელოვანია უშუალოდ იმ სისხლის სამართლის საქმის მასალების (დოკუმენტები, ნივთიერი მტკიცებულებები) შესწავლა და გამოკვლევა, რომლის ფარგლებშიც თემირლან მაჩალიკაშვილის დაკავება იგეგმებოდა. აუცილებელია, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკის შესაბამისად, მსხვერპლის ოჯახის წევრისთვის დაზარალებულის უფლებამონაცვლის სტატუსის მინიჭება და გამოძიების

პროცესში იმ მოცულობით ჩართულობის უზრუნველყოფა, რაც აუცილებელია მისი კანონიერი ინტერესების დასაცავად. პარალელურად აუცილებელია, დადგინდეს ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების შემდეგ სამედიცინო დახმარების აღმოჩენის დროულობა და ხარისხი. აღსანიშნავია, რომ სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტომ დაიწყო ამ საკითხის შესწავლა სახალხო დამცველის აპარატის მიმართვის საფუძველზე. საქართველოს სახალხო დამცველმა საკუთარი ინიციატივით დაიწყო თემირლან მაჩალიკაშვილის საქმის შესწავლა, მოუწოდა საქართველოს პროკურატურას ჩაეტარებინა ეფექტიანი გამოძიება; შეხვდა გარდაცვლილის ოჯახის წევრებს. საქართველოს სახალხო დამცველს, საგამონაკლისო წესით, საქმის მასალების გაცნობაზე საქართველოს პროკურატურამ უარი უთხრა, თუმცა მიაწოდა ინფორმაცია გამოძიების მიმდინარეობის შესახებ, – ნათქვამია ანგარიშში.

სახალხო დამცველი კონკრეტული რეკომენდაციებით მიმართავს საქართველოს პროკურატურას: გამოყენებული ძალის პროპორციულობის შესაფასებლად კონკრეტული საგამოძიებო მოქმედებებით შეისწავლოს: თემირლან მაჩალიკაშვილის დაკავების გეგმა და ოპერაციაზე კონტროლი; სპეცდანიშნულების რაზმის გეგმა თემირლან მაჩალიკაშვილის დაკავებამდე; თემირლან მაჩალიკაშვილის დაკავების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები; გამოყენებული სამედიცინო დახმარების დროულობა და ხარისხი; დამკავებელი პირების მიერ ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების კანონიერება; უზრუნველყოს გარდაცვლილის ოჯახის წევრების ინფორმირება გამოძიების მიმდინარეობის შესახებ და გააცნოს შესაბამისი დოკუმენტაცია.

სახალხო დამცველი ასევე რეკომენდაციით მიმართავს საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს, რომ შეიმუშაოს ტერორისტულ დანაშაულებთან ბრძოლის სპეცოპერაციების დეტალური ინსტრუქცია, რომელიც მაქსიმალურად შეამცირებს ძალის გადამეტების რისკს და შესაბამისობაში იქნება საერთაშორისო სტანდარტებთან.

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

კახეთში მომხდარ ავარიას 50 წლამდე მამაკაცი ემსხვერპლა

შემთხვევა გურჯაანი-ლაგოდეხის დამაკავშირებელ გზაზე მომხდარი ავარიის შედეგად, 50 წლამდე ასაკის მამაკაცი გარდაიცვალა.

თვითმხილველთა თქმით, „ ოლფ 3“-ის მარკის ავტომობილი გზის სავალი ნაწილიდან გადავიდა და ხრამში გადავარდა.

მომხდარზე გამოძიება მიმდინარეობს.

აშშ-მ და სამხრეთ კორეამ ერთობლივი სამხედრო წვრთნები დაიწყეს

აშშ-მ და სამხრეთ კორეამ ერთობლივი სამხედრო წვრთნები დაიწყეს. ოთხი კვირის განმავლობაში მათში მონაწილეობას მიიღებენ სახმელეთო ჯარები, ავიაცია, ტანკები, სპეცდანიშნულების ჯარები.

სწავლებაში 11.457 ამერიკელი და 300.000 სამხრეთკორელი ჯარისკაცი იღებს მონაწილეობას.

სენატორი გრემი: „სირიიდან ჩვენი ჯარის გაყვანა ნაადრევია“

გავლენიანმა ამერიკელმა სენატორმა ლინდსი გრემმა განაცხადა, რომ სირიიდან ამერიკული ჯარის გამოყვანა ისლამური სახელმწიფოს აღდგენას გამოიწვევს.

– სირიიდან ჩვენი ჯარის გაყვანა ნაადრევია! – ამბობს სენატორი.

ამას ტრამპის მრჩეველი ეროვნული უსაფრთხოების დარგში ჯონ ბოლტონიც იზიარებს.

– სირიაში მცირე ამერიკული კონტინგენტი აუცილებლად უნდა დარჩეს, – აცხადებს ბოლტონი.

ასეთი რეაქცია მოჰყვა დონალდ ტრამპის განცხადებას სირიიდან აშშ-ის არმიის შესაძლო გაყვანის თაობაზე.

იგორ სტრელკოვი: „დონბასში რუსეთის მარცხი გარდაუვალია“

ე.წ. დონეცკის რესპუბლიკის პირველი თავდაცვის მინისტრი და რუსული ფსბ-ს ოფიცერი სტრელკოვი (გირკინი) მიიჩნევს, რომ პუტინმა თავის დროზე შეცდომა დაუშვა, როცა უკრაინაში ფართომასშტაბიან ინტერვენციაზე და მის აღმოსავლეთ-სამხრეთ რეგიონის ოკუპაციაზე უარი თქვა.

– იანუკოვიჩის დამხობის შემდეგ უკრაინის მთელი სახელმწიფო აპარატი მოიშალა. არმია, როგორც ასეთი, დაიშალა. არსებობდნენ მხოლოდ მოხალისეთა ბატალიონები, სადაც მსახურობდნენ პირტიტველა ბიჭები, თავის დღეში ავტომატიც რომ არ სჭერიათ, – ამბობს სტრელკოვი.

ყოფილი თავდაცვის მინისტრის აზრით, ასეთ სიტუაციაში უპრობლემოდ შეიძლებოდა ოდესის, ხარკოვის, დნეპროპეტროვსკის, ზაპოროჟიეს ოკუპაცია.

– იქაური მოსახლეობა რუს ჯარისკაცებს ყვავილებით შეხვდებოდა, ანუ განმეორდებოდა ის, რაც ყირიმში მოხდა, – ამბობს სტრელკოვი.

გირკინის აზრით, დღეს სიტუაცია შეიცვალა. უკრაინამ ბრძოლისუნარიანი არმიის და მეტნაკლებად ეფექტური უშიშროების შექმნა მოახერხა. საერთაშორისო საზოგადოება კიევს უჭერს მხარს. რუსეთი სრულ იზოლაციაშია. მას საერთაშორისო სანქციები დაუწესეს. მალე ისეთი ვითარება შეიქმნება, როცა რუსეთს არათუ ომი, ე.წ. დონეცკ-ლუგანსკის რესპუბლიკების შენახვაც კი გაუჭირდება.

– იმ ძალებით, რაც დღეს დონბასში გვყავს, უკრაინულ არმიას ბუზსაც ვერ ავუფრენთ, – აცხადებს გირკინი.

ის ხაზს უსვამს, რომ რუსული არმიის ფართომასშტაბიანი ინტერვენციის გარეშე უკრაინელების შეკავება ელემენტარულად შეუძლებელია. ინტერვენცია ფართომასშტაბიან ომს ნიშნავს. შედეგად რუსეთმა შესაძლოა გარკვეული ტერიტორიის ოკუპაცია მოახერხოს, მაგრამ მსხვერპლი კოლოსალური იქნება.

– რუსეთი მინიმუმ 300.000 ჯარისკაცს დაკარგავს, ანუ მთელი ჩვენი სახმელეთო ჯარი უკრაინაში ჩაწვება, – თქვა გირკინმა.

შედეგად დაკავებული ტერიტორიების შენარჩუნება შეუძლებელი გახდება. რუსეთსაც უკან დახევა მოუწევს, მით უმეტეს, რომ დანაკარგს დაემატება დასავლეთის სანქციები, რომლებიც კიდევ უფრო გაძლიერდება. ყოველივე კი ფრიად სამწუხარო შედეგით დასრულდება. დონეცკზე, ისევე, როგორც ლუგანსკზე, უკრაინული დროშა აღიმართება და ეს მხარეც რუსული მოსახლეობისგან საბოლოოდ დაიცლება.

– ასეთ სიტუაციაში რუსეთისთვის ყველაზე ოპტიმალური სცენარია გაეროს სამშვიდობო ძალების განლაგებაზე დათანხმება, რასაც ომის შეწყვეტა და დონბასის უკრაინის შემადგენლობაში შედარებით უმტკივნეულო რეინტეგრაცია მოჰყვება. დღეს ომის გაგრძელება რუსეთის ინტერესებში არაა. ეს მხოლოდ ერთ ადამიანს, ვლადიმერ პუტინს სჭირდება, – ამბობს გირკინი.

ნიგერიაში „ბოკო ჰარამის“ თავდასხმის შედეგად 18 ადამიანი დაიღუპა

ნიგერიაში რადიკალური დაჯგუფება „ბოკო ჰარამის“ თავდასხმის შედეგად 18 ადამიანი დაიღუპა და 80-ზე მეტი დაშავდა.

შემთხვევა ნიგერიის ჩრდილოაღმოსავლეთში, ქალაქ მაიდუგურის მახლობლად მოხდა.

შეიარაღებული პირები ორ სოფელს თავს დაესხნენ. რადიკალური დაჯგუფების წევრებს წინააღმდეგობა სამხედროებმა გაუწიეს.

ორმხრივ სროლას სულ მცირე 18 ადამიანი ემსხვერპლა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

ნავიგატორის გამო ტაქსი კიბეზე გაიჭედა

აშშ-ში ტაქსის მძღოლმა ნავიგატორის ინსტრუქციებით იმოქმედა და შედეგად კიბეზე გაიჭედა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი პორტალი ავრცელებს.

ინციდენტი ქალაქ სან-ფრანცისკოში მოხდა. თეთრი ფერის ტოიოტა ქამრის მძღოლმა, რომელმაც ჟურნალისტებს თავი ფრედად წარუდგინა, განმარტა, რომ ისარგებლა ნავიგატორით და სწორედ მისი წყალობით აღმოჩნდა კიბეზე. ავარიის მომენტში მანქანაში ორი მგზავრი იმყოფებოდა, არც ისინი და არც მძღოლი არ დაშავებულან. მანქანა პოლიციელებმა ამოათრიეს.

ტაქსების კომპანიაში დაადასტურეს, რომ მძღოლი მათ კომპანიაში მუშაობდა და ისინი უკვე დაუკავშირდნენ ადგილობრივ მცხოვრებლებს, რათა მომხდარის დეტალებში გაერკვნენ.

კალიდოსკოპი

ნახევარი მილიონის ვალის მქონე ამერიკელი საცურაოდ წავიდა და გაუჩინარდა

აშშ-ში ოკეანეში დაიკარგა მამაკაცი, რომელსაც ნახევარი მილიონი დოლარის ალიმენტების ვალი დაუგროვდა. ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემის ვერსიით, მამაკაცი საპსერფით სასრიალოდ წავიდა და გაუჩინარდა.

52 წლის კონსტანტინ თეოჰარისი ბოლოს 20 მარტს შენიშნეს, როდესაც სახლიდან გამოდიოდა, რომელიც ფლორიდის შტატის ქალაქ ფორტ-ლოდერდეილში მდებარეობს. ეს დაახლოებით დილის შვიდ საათზე იყო. მას თან ჰქონდა ლურჯი ფერის საპსერფი და ოკეანის სანაპიროსკენ მიემართებოდა.

თეოჰარისის ბიძაშვილის კრის დემიანის თქმით, მისი ნათესავი განქორწინებისა და ალიმენტების გამო დეპრესიაში იმყოფებოდა, თუმცა თავის მოკვლაზე არც კი უფიქრია. ის ფიქრობს, რომ ვალებმა ის იძულებული გახადა ქვეყანა დაეტოვებინა, ვინაიდან მალე უნდა დაესაჯათ გადაუხდელობის გამო. დემიანის თქმით, მისი ნათესავი ოჯახის წევრებს 18 მარტის შემდეგ აღარ დაკავშირებია. ამავე დროს, მისი მტკიცებით, მისი ბიძაშვილი გამოცდილი საპსერფერი და კარგი მოცურავე იყო.

დაკარგულის ძმამ რიკმა აღნიშნა, რომ კონსტანტინმა სახლში დატოვა საფულე, ტელეფონი, გასაღებები და საბუთები.

– იმედი მაქვს, რომ მას გულის შეტევა არ დამართნია და არ დამხრჩვალა. ბოლო დროს ის ბევრს ნერვიულობდა, – დაამატა მან და იქვე აღნიშნა, რომ მის ძმას მოხუც მშობლებზე ზრუნვაც უწევდა, რომლებსაც ჭკუასუსტობა აწუხებთ.

თეოჰარისი 2008 წლიდანაა განქორწინებული და ამ ხნის მანძილზე მას 549 ათას დოლარზე მეტი დაუგროვდა ვალის სახით. ბოლოს მან ყოფილ მეუღლეს ფული 2014 წლის აგვისტოში გადაურიცხა.

ამერიკელმა მაღაზიის გაძარცვის წინ პირჯვარი გადაიწერა

აშშ-ში მძარცველმა, სანამ მაღაზიის გაძარცვას შეუდგებოდა, პირჯვარი გადაიწერა. ამის ამსახველი ვიდეოჩანაწერი, რომელიც სათვალთვალო კამერებმა გადაიღეს, ერთ-ერთმა ამერიკულმა გამოცემამ გამოაქვეყნა.

ვიდეორგოლზე ჩანს, თუ როგორ მოიხადა ქუდი მამაკაცმა, პირჯვარი გადაიწერა, შემდეგ აგური აიღო და იტალიური ტანსაცმლის მაღაზიის ვიტრინას ესროლა, რომელიც ნიუ-იორკის ბრუკლინის რაიონში მდებარეობს. მან მინის ვიტრინა ჩაამტვრია და მაღაზიაში შეაღწია. მძარცველმა რამდენიმე პიჯაკს დასტაცა ხელი და გაიქცა.

მაღაზიის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ მძარცველმა დაახლოებით 18 ნივთის წაღება მოახერხა. პოლიციამ მძარცველზე ძებნა გამოაცხადა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

განცხადებები

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების თავიდან აცილება, ნერვული სისტემის და ღვიძლის პრობლემების ნორმალიზება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან. უკუჩვენების გარეშე. საუკეთესო შედეგით, ტელ: 599-25-44-14 ექიმი მზია, 218-48-99 (სამსახ.). მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი“.

● პოტენციის დაქვეითებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციების ნორმალიზება, პროსტატის ჯირკვლისა და შარდვის პროცესების მოწესრიგება, ბაქტერიულ-სოკოვან ინფექციათა საწინააღმდეგო მოქმედება იმუნიტეტის გაძლიერებით, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან უჯრედულ დონეზე. უკუჩვენების გარეშე. საუკეთესო შედეგით. ტელ: 595-293-299; 218-46-08 (სამსახ.) ექიმი ინგა. მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი“.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-5 სმ-ის მომატებით ძვლის მკვებავი მინერალებისა და ვიტამინების ნაკრებით+ვარჯიშები. ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც, ასევე გახდომა 5-15 კგ თვეში რაციონის შეუცვლელად, მიღებული შედეგის შენარჩუნებით, სწრაფად და ეფექტურად. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 (სამსახ). ექიმი სალომე. მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი“.

● ძვლის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება – კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ართრიტის დროს. დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის ნორმალიზება მცენარეული საშუალებებით, საუკეთესო შედეგით. ტკივილისა და შებოჭილობის სინდრომის შემცირება უკუჩვენების გარეშე. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 (სამსახ). ექიმი სალომე. მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი“.

გთავაზობთ სამსახურს

● გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● ნანა ქიბროწაშვილი - ფირმა „იადიგარ დაუდის“ დირექტორი, მკურნალი, პარაფსიქოლოგი, ნოვოსიბირსკში სტუდენტობის პერიოდში შესწავლილი მეთოდით (ფოტოსურათით) მოგიხსნით შავი ძალების ზეწოლით (ჯადო, თვალი, წყევლა, ნერვული სტრესები) გამოწვეულ პრობლემებს: ალკოჰოლიზმი,პათოლოგიური სიმთვრალე, აზარტული თამაშები, აგრესია, დეპრესია, აკვიატებული აზრებია და ქმედებები, ეჭვიანობა,ჩაკეტილობა, თვითმკვლელობის სურვილი, შფოთიანი ძილი,ოჯახური გაუგებრობა. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 225 . ტელ: 599-498-423 ნანა.. მიღება 12-დან 15 სთ-მდე წინასწარი ჩაწერით .

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 571-72-03-11; 247-58-83.

● სქესობრივი უძლურება (იმპოტენცია), პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის პრობლემების: ხშირი და უნებლიე, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, უშვილობა, ენურეზი (გენეტიკურიც), ქრონიკული ინფექციები (ვენერიული) – მკურნალობა და გაწმენდა ვირუსებისგან უახლესი მეთოდებით. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, წონის დაკლება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მომატება 2-6კგ-მდე. შედეგები 100%-იანი. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული ჩვევა-დამოკიდებულებისგან სწრაფად განთავისუფლება. ნერვული სისტემის მოწესრიგება: შიშების, უძილობის, აგრესიის, დეპრესიის, აკვიატებების, ეჭვიანობის, ასევე: ღვიძლისა და კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პათოლოგიის მკურნალობა: ციროზი, ჰეპატოზი, გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიოზი, აშლილობა, კრონი. ორგანიზმის გაწმენდა ყველანაირი ტოქსინისგან. ტელ: 599-72-21-38; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი და ეფექტური მეთოდი 3-6 სმ-ის მატებით. შედეგიანია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. მკურნალობა მცენარეული ძვლის მკვებავი მინერალებისა და ზვიგენის ხრტილის ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ხერხემლის პათოლოგიების გამოვლენისას სხვა განსაკუთრებული, ინდივიდუალური მეთოდებით. ასევე გახდომა თვეში 6-22კგ-მდე, მომატება 2-6კგ-მდე შიმშილის, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. პროგრამა-დანიშნულება ყველა პაციენტთან ინდივიდუალურია. ტელ: 599-72-21-48; 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● ძვალ-სახსართაპრობლემების:კოქსართროზის,ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული ართროზის, პოდაგრის, ოსტეომიელიტის, ანკილოზივური სპონდილიტას, პოლიართრიტის, ყველა სახის ხერხემლის გამრუდების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილებისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა, მკურნალობა უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე. ტელ: 599-90-54-78; 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

ლაშა ტალახაძე ევროპას ნახევარი ძალით იგებს

რუმინეთის დედაქალაქ ბუქარესტში დასრულებულ ევროპის ჩემპიონატზე ლაშა ტალახაძე რომ ოქროს აიღებდა, ამაში ეჭვი არავის ეპარებოდა. ასეც მოხდა – შეჯიბრების ბოლო დღეს მსოფლიოში ყველაზე ღონიერი მამაკაცი კონტინენტზე საუკეთესოდ რჩება და თანაც ისე, რომ კონკურენტი არ ჰყავს. ტალახაძემ მეორეადგილსანს 40-კილოიანი ჰანდიკაპით მოუგო. ამასთან, ბოლო ცდა გულშიც არ გაუვლია.

ბუქარესტში ლაშამ არ გარისკა და 200 კილოგრამით დაიწყო. ამ დროისთვის მის ყველა მოწინააღმდეგეს დამთავრებული ჰქონდა შტანგასთან მისვლა. შემდეგ 210 აიტაცა და მსოფლიო რეკორდზე წავიდა, თუმცა 221 კილო შტანგას ვერ გაუმკლავდა.

ატაცში მეორე ადგილი და მცირე ვერცხლის მედალი ირაკლი თურმანიძეს ერგო, რომელმაც 192 კგ აიტაცა. მას უნგრელი პეტერ ნაგი მცირედით ჩამორჩა – 191.

აკვრის წინასწარი მონაცემები რომ გამოქვეყნდა, ნათელი გახდა, რომ საპრიზო სამეულში შესასვლელად ჩეხი იური ორსაგი ჩაერეოდა, რომელიც ატაცში 181 კილოგრამით მეხუთე იყო.

ყველაზე ადრე ფიცარნაგზე ნადი გავიდა და 215 აკრა, შემდეგ თურმანიძემ – 217, ნაგი – 221, თურმანიძემ 223 პირველ ცდაზე ვერ დაიმორჩილა, მეორეზე ასწია და მეტოქის იმედზე დარჩა, რომელმაც 225 აკრა და ჩვენებურს კილოგრამით გაასწრო. ამის შემდეგ გამოდის ფიცარნაგზე ორსაგი: 227 კილოგრამის აწევა საქმეს არ ეყო და პირდაპირ იმდენი შეუკვეთა, რაც ვერცხლისთვის საჭირო იყო – 236. ჩეხი ადვილად მოერია ამ წონასაც და ვერცხლი დაისაკუთრა.

ლაშამ ჯერ 235 აკრა, შემდეგ 247 და ბოლო მესამე ცდაზე აღარც გასულა.

ჩვენებმა ბოლო დღეს 3 ოქროს და 1 ვერცხლის მედალი მოიპოვეს, საერთო ჩათვლაში კი 10 ოქროს მედალი მოუგროვდათ და მასპინძელ რუმინეთს ერთით გაასწრეს, რამაც გუნდური პირველი ადგილი მოგვიტანა.

ქუთაისმა დინამოს მოუგო და სხვაობა გაზარდა

ქუთაისი-დინამო 82:71
(21:20, 18:21, 24:14, 19:16)

ტურში ლიდერთა მატჩი შედგა. ერთმანეთს ცხრილში 1-2 ადგილებზე მყოფი გუნდები – ქუთაისი და დინამო შეხვდნენ. მატჩს იმერულმა გუნდმა უმასპინძლა, რომელმაც დიდი მონდომების ხარჯზე უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოიპოვა და რეგულარული ჩემპიონატის მოსაგებად დიდი ნაბიჯი გადადგა.

ქუთაისელები წინა ტურში ბათუმში დამარცხდნენ და დინამოსთან სხვაობაც მინიმუმამდე შემცირდა. თბილისელებს ქუთაისში გამარჯვებით შეეძლოთ ლიდერს დაკარგული ქულებით დასწეოდნენ, თუმცა ირაკლი ხოშტარიას გაწვრთნილმა გუნდმა ეს შანსი ვერ გამოიყენა. კოტე ტუღუშის გუნდმა სტაბილურად ითამაშა და გულშემატკივართა გასახარად გასული სეზონის ჩემპიონი მიმდინარე სეზონში 6 შეხვედრიდან მეოთხედ დაამარცხა.

საკვანძო გამოდგა მესამე პერიოდი, რომელიც ქუთაისელებმა 24:14 მოიგეს და გადამწყვეტი ათწუთეულის წინ 8 ქულით დაწინაურდნენ. მასპინძლებმა ლიდერობა თამაშის ბოლომდე შეინარჩუნეს და 82:71 გაიმარჯვეს.

იმერულ კლუბს 25 ქულით გიორგი ბარბაქაძემ ულიდერა. 18 ქულა და 9 მოხსნა ბექა ბექაურის ანგარიშზეა. ორმაგი დუბლი – 10 ქულა და 12 პასი მიითვალა ჯონათან ლიმ, ხოლო აკაკი დვალიშვილს ორმაგ დუბლამდე 1 ქულა დააკლდა – 9 ქულა, 11 მოხსნა. დინამოში 20 ქულით და 7 მოხსნით ნოდარ გოგოძე გამოირჩა. 17 ქულა და 9 მოხსნა გიორგი შარაბიძის ანგარიშზე დაგროვდა.

სატუნინიო ცხრილი:

1.ქუთაისი	26	19	7	2184:1973	45	5.ბათუმი	25	13	12	1912:1815	38
2.რუსთავი	25	17	8	2034:1926	42	6.ოლიმპი	25	13	12	1939:1902	38
3.დინამო	25	16	9	2051:1882	41	7.მგზავრები	25	11	14	1973:2084	36
4.კაკტუსი	25	15	10	2042:1997	40	8.დელტა	25	8	17	2005:2140	33
						9.სოხუმი	25	1	24	1884:2305	26

დინამომ და კოლხეთმა მოიგეს, ნდოგმა კახელიშვილი ნოკაუტში ჩააგდო

დინამო-ტორპედო 2:0

თბილისი. დინამო არენა
1:0, 2:0 ზივზივაძე (12, 45)

დინამო: ბულისკერია, რუხაია, თოთაძე, კობოური, ხარაბაძე, ივანისენია (ძალამიძე 73), კუცია (ქოჩლაძე 87), შულაია (ნინუა 90), კიტეიშვილი, ივანიშვილი, ზივზივაძე

ტორპედო: კვასხვაძე, ტაბატაძე, ხურცილავა, წიქარიძე (კუხიანიძე 73), დოლიძე (სარდალიშვილი 68), ქიმაძე, ლიპარტია, გიგაური, გურული, კაპანაძე (ტუღუში 13), კუტალია

ეროვნული ლიგის ყველაზე საინტერესო მატჩი დინამოელთა გამარჯვებით დასრულდა. ამ მოგებით დინამომ მცირე რევანში აიღო გასულ სეზონში ბოლო წამზე ხელიდან გაშვებული ჩემპიონობის გამო.

ქართული დერბი მასპინძელთა შეტევით დაიწყო. კიტეიშვილი-ხარაბაძე-ივანიშვილის კომბინაცია არაზუსტი დარტყმით დასრულდა. მომდევნო შეტევაში კი დმიტრო ივანისენიას დარტყმული როინ კვასხვაძეს ნადავლი გახდა. მე-10 წუთზე თბილისელებმა კარის აღების რეალური შესაძლებლობა გაუშვეს ხელიდან. სწრაფ კონტრშეტევას ცარიელ კარში დარტყმით ივანისენია ასრულებდა, ბურთი კი ძელს მოხვდა.

2 წუთის შემდეგ თანაგუნდელის შეცდომა ბუდუ ზივზივაძემ ზუსტი დარტყმით გამოასწორა და დინამო დაწინაურდა. მოედნის ცენტრში გიორგი კუციამ ითამაშა კარგად, მან ჯაბა ლიპარტიას აართვა ბურთი, შემდეგ ოთარ კიტეიშვილი მოძებნა, რომელმაც თავის მხრივ ზივზივაძე დასარტყმელ პოზიციაზე გაიყვანა – 1:0.

ტაიმის ბოლო წუთზე კი ელვისებურად განვითარდა მოვლენები. მსაჯმა ჯერ გიორგი კუციას გოლი თამაშგარე მდგომარეობის გამო გააუქმა, მომდევნო შეტევაში კი გიორგი ივანიშვილის გადაცემით ბუდუ ზივზივაძემ ისარგებლა და დუბლი შეასრულა.

მეორე ტაიმი ოდნავ დაბალ რიტმში განახლდა. სტუმრებმა ერთი სახიფათო შეტევაც განახორციელეს 50-ე წუთზე, თუმცა ლევან კუტალიას დარტყმული სუსტი გამოდგა. ამის შემდეგ დინამომ ისევ უმატა შეტევებს და 63-ე წუთზე გიორგი ივანიშვილის დარტყმულის შემდეგ კარი როინ კვასხვაძემ ბოლო წამს იხსნა. საპასუხოდ ბექა ტუღუშის საკმაოდ სახიფათო დარტყმაა აღსანიშნავი, ბურთი მცირედით აცდა მასპინძელთა კარს. მატჩის დასრულებამდე 10 წუთით ადრე ბუდუ ზივზივაძეს ჰეთ თრიქის შესრულება შეეძლო, მაგრამ ერთი ერთზე გასულმა ტორპედოს კიპერს ვეღარ აჯობა.

საბოლოოდ, დინამომ დამსახურებულად მოიგო და მიჯრით მესამე გამარჯვება მოიპოვა.

სამტრედია-კოლხეთი 0:2

თბილისი. მიხეილ მესხი
0:1, 0:2 გოგბერაშვილი (54, 58)

სამტრედია: მიგინეიშვილი, ნდონგი, ფატჩი, დაუშვილი, ბაჩიაშვილი (ჩაჩუა 75), ახალაძე, სანია (მესიაჩენკო 63), ერისთავი, კირკიტაძე, ვეილი (გიორბელიძე 75), გი

კოლხეთი: პოლტავცევი, კილასონია, მახარაძე, გოგონაია, არზიანი (კაკულია 75), პონამარიოვი, დანილოვი, მიხალიოვი, კახელიშვილი, კაბორე, გოგბერაშვილი (ჭეიშვილი 89)

ფოთის კოლხეთმა სამტრედია სტუმრად დაამარცხა და მიმდინარე სეზონში პირველი გამარჯვება იზეიმა, ხოლო სამტრედიამ ზედიზედ მესამე მატჩი წააგო. არადა, უჩა სოსიაშვილის გუნდი ამბიციურად შეხვდა ახალ სეზონს და თუ ეს კრიზისი გაგრძელდა, სამტრედიელებმა, შესაძლოა, მწვრთნელი მომავალ ტურშივე შეცვალონ.

მატჩი საკმაოდ ნელ ტემპში დაიწყო და ძირითადად მოედნის ცენტრში მიმდინარეობდა თამაში. სამტრედიელები ბურთს მეტად აკონტროლებდნენ, მაგრამ უკვე მეოთხე თამაშია სამტრედიელთა შემტევებს შეთამაშება აკლიათ და მომენტების შექმნა უჭირთ. ნუგზარ თვარაძის გაწვრთნილმა გუნდა კი კონტრშეტევებზე ააწყო თამაში, რისი მეშვეობითაც 2 გოლის გატანაც მოახერხეს. ორივე შემთხვევაში ფოთელთაგან თავი ვლადიმირ გოგბერაშვილმა გამოიჩინა.

მატჩის დასრულებისას მოედანზე ინციდენტი მოხდა: ფოთელმა გიორგი კახელიშვილმა სამტრედიელ ანრი ნდონგს ხელი ჩამოსართმევად გაუწოდა, ნდოგმა არ ჩამოართვა, რის გამოც კახელიშვილმა ყური აუწია და საპასუხოდ მუშტიც მიიღო. მოედანზე გაწევ-გამოწევა ატყდა, მაგრამ ფეხბურთელები მალევე დააშოშმინეს.

ეროვნული ლიგის ვებ გვერდზე გამოქვეყნებულ მატჩის ოქმში მსაჯ დავით ხარიტონაშვილისგან არ ფიგურირებს სანქციები დამნაშავ ფეხბურთელების მიმართ.

სატუნინიო ცხრილი:

1.საბურთალო	4	4	0	0	11-2	12
2.დინამო	4	3	0	1	10-4	9
3.ჩიხურა	4	2	2	0	9-3	8
4.დილა	4	2	1	1	7-7	7
5.ტორპედო	4	2	0	2	7-5	6
6.სიონი	4	1	1	2	4-6	4
7.კოლხეთი	4	1	1	2	4-10	4
8.რუსთავი	4	1	0	3	2-5	3
9.სამტრედია	4	1	0	3	3-7	3
10.ლოკომოტივი	4	0	1	3	3-11	1

ქართველმა ძიუდოისტებმა თბილისის გრან პრიზე ყველაზე მეტი მედალი მოიპოვეს

საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრებმა თბილისის გრან პრი 5 ოქროს, 3 ვერცხლისა და 6 ბრინჯაოს მედლით დაასრულა და საერთო გუნდურ ჩათვლაში 38 ქვეყნის ნაკრებს შორის პირველი ადგილი დაიკავა. გრან პრის ჩემპიონებმა ოქროს მედლებთან ერთად 700-700 სარეიტინგო ქულა გამოიმუშავეს. ვერცხლის პრიზიორებს 490-490 ქულა ერგოთ, ბრინჯაოსნებს – 350-350.

დავიწყოთ წონების მიხედვით:

60 კგ

კაცების უმსუბუქეს წონით კატეგორიაში თბილისის შარშანდელი გრან პრის ფინალი განმეორდა. ერთმანეთს საქართველოს ნაკრების წევრები ამირან პაპინაშვილი და ლუხუმ ჩხვიმიანი დაუპირისპირდნენ, რომლებიც მიმდინარე შეჯიბრებაზე 1-2 ნომრებად იყვნენ განთესილები.

პაპინაშვილმა ტურნირი ბელგიელი ხორან შილდერმანსის წუთნახევარში ძლევით გახსნა. შემდეგ, ჰოლანდიის სახელით მოჭიდავე თორნიკე ჭკადუას 3 გაფრთხილებით აჯობა. ნახევარფინალში, რუსეთის ნაკრების წევრ ალბერტ მონგუშთან ვაზარით ჩამორჩა, მალევე თავადაც შეასრულა ვაზარი. „ოქროს დროში“ კი მეტოქე ბეჭებით დაანარცხა ტატამს.

ჩხვიმიანმა ჯერ რუსი ეგორ ცვეტკოვი დაამარცხა 3 გაფრთხილებით, მეოთხედფინალში უზბეკი დონიორ სულტანბაევი შებოჭა. ნახევარფინალში კი „ოქროს დროში“ შესრულებული ვაზარით სძლია აზერბაიჯანელ ორუჯ ვალიზადას.

ქართული ფინალის ძირითადი 4 წუთი უილეთოდ დასრულდა. ამასთან, ორივე ძიუდოისტმა მსაჯისგან

გაგრძელება მე-10 გვერდზე

შედეგები

1 აპრილი

ფეხბურთი

ინგლისი. პრემიერლიგა

არსენალი-სტოკი	3:0
ჩელსი-ტოტენჰემი	1:3

სატუნინიო ცხრილი:

1.სიტი	31	27	3	1	88-21	84
2.მანჩესტერი	31	21	5	5	60-23	68
3.ლივერპული	32	19	9	4	75-35	66
4.ტოტენჰემი	31	19	7	5	62-26	64
5.ჩელსი	31	17	5	9	53-30	56
6.არსენალი	31	15	6	10	58-41	51
7.ბარნლი	31	12	10	9	29-27	46
8.ლესტერი	31	11	10	10	47-43	43
9.ევერტონი	32	11	7	14	38-53	40
10.ბორნმუთი	32	9	10	13	39-51	37
11.უოტფორდი	32	10	7	15	41-57	37
12.ნიუკასლი	31	9	8	14	31-40	35
13.ბრაიტონი	31	8	10	13	28-42	34
14.ვესტ ჰემი	31	8	9	14	39-57	33
15.სუონსი	31	8	7	16	25-44	31
16.ჰადერსფილდი	32	8	7	17	25-53	31
17.კრ.პალასი	32	7	9	16	31-50	30
18.საუთჰემპტონი	31	5	13	13	29-47	28
19.სტოკი	32	6	9	17	29-61	27
20.ვესტ ბრომვიჩი	32	3	11	18	25-51	20

ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი

ესპანიოლი-ალავესი	0:0
ლეგანესი-ვალენსია	0:1
ეიბარი-სოსიედადი	0:0
მალაგა-ვილიარეალი	1:0
ატლეტიკო-დეპორტივო	1:0

სატუნინიო ცხრილი:

1.ბარსელონა	30	23	7	0	76-15	76
2.ატლეტიკო	30	20	7	3	50-14	67
3.რეალი	30	19	6	5	76-33	63
4.ვალენსია	30	19	5	6	58-31	62
5.ვილიარეალი	30	14	5	11	40-34	47
6.სევილია	30	14	4	12	39-46	46
7.ხირონა	30	12	8	10	44-43	44
8.ბეტისი	29	13	4	12	49-53	43
9.სელტა	30	11	7	12	46-43	40
10.ეიბარი	30	11	7	12	36-43	40
11.ხეტაფე	29	10	9	10	35-27	39
12.ბილბაო	30	8	12	10	30-34	36
13.ესპანიოლი	30	8	12	10	26-37	36
14.ლეგანესი	30	10	6	14	25-36	36
15.სოსიედადი	30	9	7	14	51-52	34
16.ალავესი	30	10	2	18	26-45	32
17.ლევანტე	30	5	13	12	26-44	28
18.ლას პალმასი	30	5	6	19	21-61	21
19.დეპორტივო	30	4	8	18	26-61	20
20.მალაგა	30	4	5	21	17-45	17

ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

სევილია ბ-ბარსელონა ბ	3:1
ოსასუნა-ტენერიფე	0:1
ლორკა-გრანადა	3:2
რაიო-კადისი	1:1
ალმერია-ხიხონი	1:3
ხიმნასტიკი-ლუგო	3:0

გერმანია. ბუნდესლიგა

ვერდერი-აინტრახტი	2:1
მაინცი-გლადბახი	0:0

სატუნინიო ცხრილი:

1.ბაიერნი	28	22	3	3	72-20	69
2.შალკე	28	15	7	6	43-30	52
3.დორტმუნდი	28	13	9	6	54-39	48
4.ლაიპციგი	28	13	7	8	43-37	46
5.ლევერკუზენი	28	12	9	7	47-35	45
6.აინტრახტი	28	13	6	9	39-32	45
7.ჰოფენჰაიმი	28	11	9	8	52-41	42
8.შტუტგარტი	28	11	5	12	26-31	38
9.გლადბახი	28	10	7	11	36-42	37
10.აუგსბურგი	28	9	9	10	37-36	36
11.ჰერტა	28	8	12	8	32-32	36
12.ვერდერი	28	9	9	10	32-33	36
13.ჰანოვერი	28	8	8	12	35-42	32
14.ფრაიბურგი	28	6	12	10	26-46	30
15.ვოლფსბურგი	28	4	14	10	28-37	26
16.მაინცი	28	6	8	14	29-46	26
17.კიოლნი	28	5	5	18	27-55	20
18.ჰამბურგი	28	4	7	17	20-44	19

გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა

არმინია-კილი	1:1
ბოხუმი-ბრაუნშვაიგი	2:0
ფიურტი-უნიონი	2:1
ზ.პაული-ზანდჰაუზენი	1:1
რეგენსბურგი-აუე	1:3

საფრანგეთი. 1 ლიგა

გენგამი-ბორდო	2:1
კაენი-მონპელიე	1:3
ლილი-ამიენი	0:1
ნანტი-სტ.ეტიენი	0:3
სტრასბური-მეცი	2:2
ტრუა-ნიცა	0:2
ლიონი-ტულუზა	2:0

სატუნინიო ცხრილი:

1.პსჟ	31	27	2	2	95-21	83
2.მონაკო	30	20	6	4	74-32	66
3.მარსელი	31	18	8	5	64-38	62
4.ლიონი	31	17	9	5	64-36	60
5.მონპელიე	31	10	15	6	31-26	45
6.რენი	30	13	6	11	39-36	45
7.ნიცა	31	13	6	12	42-43	45
8.ნანტი	31	12	8	11	30-33	44
9.სტ.ეტიენი	31	11	9	11	36-44	42
10.გენგამი	31	10	8	13	32-46	38
11.დიჟონი	31	10	8	13	44-60	38
12.ბორდო	31	10	7	14	34-41	37
13.ანჟე	31	8	11	12	36-42	35
14.კაენი	31	10	5	16	23-39	35
15.ამიენი	31	9	7	15	26-34	34
16.სტრასბური	31	8	9	14	37-56	33
17.ტულუზა	31	7	9	15	29-43	30
18.ტრუა	31	8	5	18	25-42	29
19.ლილი	31	7	7	17	29-49	28
20.მეცი	31	5	7	19	29-58	22

ჰოლანდია. ეროვნული დივიზიონი

ვენლო-ტვენტე	0:0
გრონინგენი-აიაქსი	1:2
ერაკლესი-ჰერენვენი	1:2
ფეინოორდი-ექსელსიორი	5:0

ჩეხეთი. პრემიერლიგა

ურალი-რუბინი	1:1
უფა-ზენიტი	1:2
კრასნოდარი-ანჟი	1:1
როსტოვი-ცსკა	1:2

შოტლანდია. პრემიერლიგა

დანდი-ჰართსი	1:1

ავსტრია.ბუნდესლიგა

მატერსბურგი-რაპიდი	2:4

ბელგია. ა დივიზიონი

ანდერლეხტი-გენტი	0:2
ვარეგემი-ლეუვენი	2:2

საბერძნეთი. სუპერლიგა

პანიონიოსი-ქანია	0:0
პოლონი-ლარისა	3:0
კერკირა-ლამია	0:0
აეკი-პანათინაიკოსი	3:0

თურქეთი. სუპერლიგა

გიოზთეფე-ქაშიმფაშა	0:2
ოსმანლი-ქონია	0:0
აკხისარი-ბაშაქშეჰირი	1:2
გალათასარაი-ტრაბზონი	2:1

ჩეხეთი. 1 ლიგა

სლავია-ზლინი	1:2

უკრაინა. პრემიერლიგა

მარიუპოლი-დინამო	2:3
ზორია-შახტარი	0:3

დანია. სუპერლიგა

ჰობრო-ორხუსი	1:3
რანდერსი-ლუნგბიუ	2:0

რანდერსის ორივე გოლი საბა ლობჟანიძემ გაიტანა

შვედეთი. აალსვენსკა

ჰამარბი-სირიუსი	3:1
ჰაკენი-კალმარი	1:0
ტრელებორგი-გიოტებორგი	1:3
ესტერსუნდი-დიურგარდენი	0:1

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ქართველმა ძიუდოისტებმა თბილისის გრან პრიზე ყველაზე მეტი მედალი მოიპოვეს

დასაწყისი მე-9 გვერდზე

ორ-ორი შიდო მიიღო. ოქროს ბედი ლუხუმ ჩხვიმიანის მიერ მეორე დამატებულ წუთზე შესრულებულმა ვაზარიმ გადაწყვიტა.

კაცების პირველ ფინალამდე 2 ქართველი ძიუდოისტი იბრძოდა ბრინჯაოს მედლისთვის: 24 წლის ლაშა ჩადუნელი და 20 წლის თემურ ნოზაძე. ორივე მათგანმა ბრინჯაო ირგუნა და პოდიუმი სრულად შეივსო ქართველებით.

66 კგ

ვაჟა მარგველაშვილი თბილისის გრან პრიზე პირველ ნომრად იყო განთესილი. პირველ წრეში დაისვენა,

საქმეში უნგრელ ზსოლტ გორიანაჟთან დაპირისპირებით ჩაება და მტკივნეული ილეთით სძლია. მეოთხედფინალში ვაზარით გაუსწორდა ებრაელ იარინ მენაგედს. ნახევარფინალში ლაშა გიუნაშვილი სამწუთნახევარში დაამარცხა. საჩემპიონო ბრძოლაში კი ბრაზილიელ დანიელ კარნინის „ოქროს დროში“, შიდოების ლიმიტის ამოწურვით, მე-6 წუთზე აჯობა.

73 კგ

ეს წონაც ქართული ფინალით დაგვირგვინდა. ერთმანეთს ტურნირზე პირველ ნომრად განთესილი ლაშა შავდათუაშვილი და ფრიდონ გიგანი დაუპირისპირდნენ. შეხვედრა წუთსა და 49 წამს გაგრძელდა. ლაშა შავდათუაშვილმა მეტოქეს ვაზარი გდებით აართვა და 3 შიდოც მიაღებინა.

ფინალამდე შავდათუაშვილმა 4 შეხვედრა მოიგო. პირველი და მეორე მეტოქეების: სომეხი არსენ ღაზარიანისა და იტალიელი ჯოვანი ესპოსიტოს ჩამოსაშორებლად 4 წუთი არ ეყო და წარმატებას „ოქროს დროში“ მიაღწია. მეოთხედფინალში მტკივნეული ილეთით სძლია შვეიცარიელ ნილს სტამპს. ნახევარფინალში კი ჰოლანდიელ სემ ვანტვესტენდს მეორე წუთის ბოლოს შესრულებული ვაზარი შებოჭვით დაუსრულა.

გიგანმა ფინალის გზაზე 4 მეტოქე ჩამოიშორა. შეჯიბრება ლიტველ რეგიმანტას რიბინასთან დაჭიდებით გახსნა და მეტოქეს 2 წუთში 2 ვაზარი აუღო. უზბეკ გიოსონ ბობოევსაც ვადაზე ადრე მოუმთავრა საქმე, ოღონდ უილეთოდ, 3 გაფრთხილებით. მეოთხედფინალში ბრიტანელ ერიკ ჰემს სამწუთნახევარი აკმარა. ნახევარფინალში კი ირანელი მოჰამად მოჰამადი დაძაბულ ბრძოლაში ზედ საფინალო გონგისას დასცა ბეჭებზე.

81 კგ

ახალგაზრდებს შორის ევროპის ჩემპიონ თამაზ კირაკოზაშვილს აქამდე მსოფლიო ტურის შეჯიბრებებზე მედალი ერთხელაც არ მოეგო. ანგარიში თბილისის 2018 წლის გრან პრიზე გახსნა და თანაც უმაღლესი სინჯით. 21 წლის ძიუდოისტმა ბრწყინვალედ იჭიდავა, 4 შეხვედრა ჩაატარა და ოთხში საქმე ვადაზე ადრე მოამთავრა.

აზერბაიჯანელ ჯოშგუნ აბდულაევს კირაკოზაშვილმა წუთი და 50 წამი აკმარა. ამერიკელ ჯეკ ჰატონს ვაზარით სძლია. მეოთხედფინალში რუს სტანისლავ სემენოვს გაუმასპინძლდა ულამაზესი მოგვერდით. ნახევარფინალში კი თანაგუნდელ ნუგზარ ტატალაშვილს მოუგო 2 წუთში.

ერთი ქართული დაპირისპირება 81 კილოგრამის რეპეშაჟის ფინალშიც ვიხილეთ – ტატალაშვილმა კობა მჭედლიშვილი დასცა ბეჭებზე და ბრინჯაოს დაეუფლა.

90 კგ

გიორგი პაპუნაშვილმა თურქმენ ტეჟენ ტეჟენოვს 3 წუთში 2 ვაზარი შეუსრულა. ბრაზილიელ გუსტავო ასისთან ვაზარით ჩამორჩა, მაგრამ სწრაფადვე გამოიჭირა მეტოქე შებოჭვაზე. პოლონელ პიოტრ კუჩერას წუთი და 37 წამი აკმარა და ნახევარფინალში გავიდა, სადაც ტურნირზე პირველ ნომრად განთესილ შვეიცარიელ სირილ გროსკლაუსს შეხვდა. უილეთო შეხვედრაში, საფინალო გონგამდე 17 წამით ადრე გროსკლაუსმა მესამე გაფრთხილება მიიღო.

საჩემპიონო ბრძოლაში გიორგი პაპუნაშვილი ახალგაზრდებს შორის მსოფლიოს 2014 წლის ჩემპიონს – ბრაზილიელ რაფაელ მასედოს დაეჭიდა და დაძაბულ ბრძოლაში, მეექვსე წუთზე ვაზარით დამარცხდა.

100 კგ

ჭაბუკებს შორის ევროპის და მსოფლიოს პრიზიორმა ონისე სანებლიძემ გერმანელი დომენიკ შონეფილდისა და ბრაზილიელი ლეონარდო გონსალვეშის ძლევის შემდეგ, ოქროს მედლისთვის ბრძოლის გაგრძელების შანსი მეოთხედფინალში დაკარგა – რუსეთის ნაკრების წევრ მერაბ მარგიევთან შებოჭვაზე მოჰყვა. რეპეშაჟში 19 წლის ქართველმა ძიუდოისტმა ჯერ ყაზახი ჟასულან მუხამეტხანოვი დაამარცხა, ბრინჯაოსთვის კი თანაგუნდელ იასონ ნემსაძეს დასჭიდებოდა, მაგრამ ტატამზე მარტო მოუწია გასვლა და უბრძოლველად იმარჯვა.

+ 100 კგ

ევროპის მოქმედი ჩემპიონი გურამ თუშიშვილი თბილისის გრან პრიზე პირველ ნომრად იყო განთესილი. საქმეში მეორე წრიდან ჩაება და აზერბაიჯანელი ჯალილ შუკუროვი 2 წუთში დაანარცხა ბეჭებზე. ჰოლანდიელ ხურ სპიკერსს კი, წუთი აკმარა. ნახევარფინალში ლევან მატიაშვილი შებოჭა. ფინალში კი ირანელ ჯავად მაჰჯუბთან ვაზარით ჩამორჩენა შებოჭვით შემოატრიალა, თავად თბილისის გრან პრიზე პირველი მედალი მოიპოვა, საქართველოს ნაკრებს კი მეხუთე ოქრო მოუტანა და გუნდურ ჩათვლაში გაჩემპიონება გაუნაღდა.

ქალები 70 კგ

დაბოლოს, ტურნირის ერთ-ერთი უმთავრესი საამაყო ამბავი – გრან პრის პოდიუმზე საქართველოს ქალთა ნაკრების წევრიც ავიდა. მიმდინარე ტურნირის ყველაზე ახალგაზრდა ძიუდოისტმა – 17 წლის მარიამ ჭანტურიამ, რომელსაც მსოფლიო ტურის შეჯიბრებებზე აქამდე ერთხელაც არ უჭიდავია, დებიუტი შთამბეჭდავი ჭიდაობით და, რაც მთავარია, ბრინჯაოთი აღნიშნა.

პირველ შეხვედრაში ჭანტურიამ ჰოლანდიელ ეველინ ბერნდსენს ვაზარით სძლია. ბრიტანელ კატიეჯემიმა იაბროუნს საფინალო გონგამდე 20 წამით ადრე შეუსრულა იპონი და მეოთხედფინალში გავიდა, სადაც პანამერიკული თამაშების 4 გზის ჩემპიონს – კანადელ კელიტა ზუპანჩიჩს დაუპირისპირდა და შებოჭვაზე მოჰყვა. რეპეშაჟის ნახევარფინალში მარიამ ჭანტურიამ გერმანელ სარა მაკელბურგს შესაბოჭად ნახევარი წუთი აკმარა. ბრინჯაოსთვის კი მეორე დამატებული წუთის ბოლოს, შიდოების ლიმიტის ამოწურვით აჯობა გერმანელ სზაუნდრა დიდრიხს.

მოამზადა მიხეილ ყორჟოლიანმა

ბრიტანელმა სიძეს ფერარი ყიდვიდან სამ საათში დაუმტვრია

სასამართლომ ბრიტანელი, რომელმაც ახლობელთან ერთად თავისი ნათესავის, ფეხბურთელ ლიუის გრაბანის ახალთახალი ფერარი დაამტვრია, დამნაშავედ ცნო.

აღნიშნული ინციდენტი 2017 წლის აპრილში მოხდა. გრაბანმა ფერარი 488 GTB 250 ათას ფუნტ სტერლინგად შეიძინა, მაგრამ ვარჯიშის გამო იმ დროს სახლში არ იმყოფებოდა, როდესაც მანქანა ადგილზე მიუყვანეს. იმ დროს სახლში იმყოფებოდა ფეხბურთელის ცოლის ნათესავი, 26 წლის მაიკლ ო,დონელი.

ო,დონელმა და მისმა ახლობელმა გოკან კიზილოსმა მანქანის ძრავა აამუშავეს და ავტომობილის ფონზე სურათების გადაღება დაიწყეს. შემდეგ მათ გადაწყვიტეს მანქანით გაესეირნათ. ო,დონელმა საჭესთან დაჯდომაზე, ხელის მტევნის ტკივილის გამო, უარი განაცხადა, ამიტომ ფერარის საჭეს კიზილოსი მიუჯდა, მაგრამ მან მანქანის მართვას თავი ვერ გაართვა და ხეს შეეჯახა.

ავარია მანქანის ადგილზე მიტანიდან სულ რაღაც სამ საათში მოხდა. დამტვრეული მანქანის შესაკეთებლად, მისი იტალიაში ფერარის ქარხანაში გაგზავნა გახდა საჭირო. გრაბანს ამისთვის დაახლოებით 93,5 ათასი ფუნტის გადახდა მოუწევს.

სასამართლომ ო,დონელს და კიზილოსს ერთი წლით სატრანსპორტო საშუალების მართვა აუკრძალა. გარდა ამისა, ფეხბურთელის ნათესავს 225 საათი საზოგადოებრივი საქმიანობა მიესაჯა, ხოლო კიზილოსს 24 საათი.

ლიუის გრაბანი პროფესიონალი ფეხბურთელია და ის ბირმინგემის კლუბ „სატონ ვილაში“ თამაშობს თავდამსხმელის პოზიციაზე.

რესტორნის მფლობელმა ირემი აღშფოთებული ვეგეტარიანელების თვალწინ შეჭამა

კანადის ონტარიოს პროვინციის ქალაქ ტორონტოში რესტორნის მფლობელმა ირმის ხორცი ცხოველთა დამცველების თვალწინ, რომლებიც დაწესებულების პიკეტირებას ახდენდნენ ხორცის აკრძალვის მოთხოვნით, მოამზადა და შეჭამა.

დაწესებულების მფლობელი რესტორნის ვიტრინაში ირმის უმი ფეხით იმ დროს გამოჩნდა, როდესაც მის წინ აქტივისტები შეგროვდნენ. სანამ ისინი გაჰყვიროდნენ „ენთლერს ხელები სისხლში აქვს გასვრილი“ და აფრიალებდნენ პლაკატებს წარწერით „მკვლელობა“, ჰანტლერი დემონსტრაციულად ამუშავებდა ხორცს. შემდეგ დაჭრილი ირმის ხორცი ტაფაზე მოათავსა და სამზარეულოში გავიდა.

ნახევარ საათში ის მომზადებული ბიფშტექსით დაბრუნდა და პროტესტანტების თვალწინ მის ჭამას შეუდგა.

– აშკარაა, რომ ჩვენ ის მწყობრიდან გამოგვყავს, ვინაიდან ჩვენი მისი დაწესებულების წინ ყოფნა მის ბიზნესზე უარყოფითად მოქმედებს, – აღნიშნა ცხოველთა დამცველმა მარნი უგარმა, რომელიც პიკეტირების ორგანიზატორია.

ბუ ნიშნობის ბეჭდებით ქორწილის სტუმარს თავს დაესხა

ბრიტანეთის ჩეშირის საგრაფოს სოფელ პეკფორტონში ქორწილის სტუმარს თავს დაესხა გაწვრთნილი ბუ.

საქორწინო ცერემონია პეკფორტონის ციხესიმაგრეში მიმდინარეობდა. გაწვრთნილი ბუ შენობაში ააფრინეს, რათა მას ნიშნობის ბეჭდები მიეტანა. ფრინველი მიფრინდა მის მომლოდინე ხელისმომკიდესთან და მას ხელზე დაჯდა, მაგრამ შემდეგ ისევ აფრინდა და პირველ რიგში მჯდომ მამაკაცს დააფრინდა. ის ფრინველის შემოტევისთვის მზად არ აღმოჩნდა და დამსწრეთა ხარხარის ფონზე იატაკზე დაეცა. ამ ინციდენტის შემდეგ ქორწილი გაგრძელდა, ხოლო ბუ მაგიდაზე წამოსკუპდა.

– ეს ერთ-ერთი საუკეთესო მომენტი იყო მათ შორის, რომელსაც ოდესმე შევსწრებივარ, – განუცხადა ერთ-ერთ ბრიტანულ ჟურნალს ქორწილის ფოტოგრაფმა სტეისი ოლივერმა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ასტროპროგნოზი

3 აპრილისთვის

ვერძი – საქმისადმი არასტანდარტული მიდგომა გაამართლებს. შანსი მოგეცემათ, გავლენიანი ადამიანისგან მხარდაჭერა მიიღოთ. **კურო** – პლანეტების მფარველობის წყალობით თქვენი სასიცოცხლო პოტენციალი, შემოქმედებითი აქტივობა იზრდება. მეტი წინდახედულობა გმართებთ საქმიანი მოლაპარაკებებისას. **ტყუპები** – ქალაქიდან გასვლას ერიდეთ. უკეთესი იქნება, თუ დღეს მხოლოდ საშინაო საქმეებით შემოიფარგლებით. **კირჩხიბი** – ეჭვებისა და ყოყმანის დრო დამთავრდა. გემატებათ საკუთარი თავის რწმენა. მიზნისკენ თამამად იარეთ. **ლომი** – წარმატება და მარცხი ერთმანეთს ენაცვლება. ყველაფერი დამოკიდებულია თქვენს პრინციპულობასა და შორსმჭვრეტელობაზე. **ქალწული** – საშუალება გეძლევათ, გაიფართოოთ სამოქმედო არეალი, იპოვოთ შემოსავლის ახალი წყარო. მიიღეთ მეტი ცოდნა პროფესიული თვალსაზრისით. **სასწორი** – ცივი გონებით მოქმედება დღის დევიზია. ემოციურობა, გრძნობების აყოლა კარგს არაფერს მოგცემთ. დოკუმენტებისადმი უყურადღებობამ შესაძლოა დაგაზარალოთ. **ღრმანკალი** – ისარგებლეთ მომენტით, რათა ფინანსური მდგომარეობა გაიუმჯობესოთ. გაუფრთხილდით ოჯახის წევრების ჯანმრთელობას. **მშვილდოსანი** – დიდი ხნის ნანატრი რეზულტატის მიღება არ დააყოვნებს. შრომა სათანადოდ დაგიფასდებათ. **თხის რქა** – საქმიანი პარტნიორისგან მოულოდნელ შემოთავაზებას მიიღებთ, თუმცა ნაჩქარევი გადაწყვეტილება არ ივარგებს. **მერწყული** – პატიოსნად იშრომეთ. ნუ ელოდებით ვინმეს დახმარებას. მხოლოდ საკუთარი თავის იმედი იქონიეთ. **თევზები** – პროვოკაციებს, ინტრიგებს ერიდეთ. სხვის საქმეებში არ ჩაერიოთ. შექმნილი რთული სიტუაციიდან თავის დასაღწევად საკმაო ძალისხმევა გმართებთ.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვორდი ბ



შვეულად: 1. ქართული ხალხური ზღაპარი; 2. „სამანიშვილის დედინაცვლის“ პერსონაჟი; 3. ჩეჩნების, ინგუშების სახელწოდება ძველად საქართველოში; 4. მძიმე, თხევად საწვავზე მომუშავე შიგაწვის ძრავა; 6. ცნობილი არგენტინელი კალათბურთელი; 8. გაზეთი, რომელიც ილია ჭავჭავაძის რედაქტორობით გამოდიოდა; 11. ვირტუოზი იტალიელი მევიოლინე; 12. ამერიკელი ქიმიკოსი, რომელსაც ორჯერ მიენიჭა ნობელის პრემია; 16. ქართული ბანკი; 17. კლიმატური კურორტი ხონის რაიონში; 18. მომღერალი, პოეტი, მუსიკოსი მუსლიმანურ ქვეყნებში.

თარაზულად: 1. ავსტრალიის დედაქალაქი; 5. ძვირფასი ლითონების რაოდენობის აღმნიშვნელი დამღა ოქროს, ვერცხლის, პლატინის ნაკეთობებზე; 7. ღვთის სადიდებელი შეძახილი ქრისტიანულ მღვდელმსახურებაში; 9. ქორ-შევარდენთა გამწვრთნელი; 10. იტალიელი მხატვარი, ლეონარდო და ვინჩის მასწავლებელი; 13. დამუხლული, ღრუ ღეროს მქონე ტროპიკული მცენარე; 14. ესპანელი ჩოგბურთელი მამაკაცი; 15. გაწყალებული ღვინო; 19. ხელოვნური წყალსაცავი მცხეთა-მთიანეთში; 20. ტბა სამხრეთ საქართველოში; 21. თანამედროვე ქართველი თეატრალური მხატვარი, მოქანდაკე; 22. წყალი მყარ მდგომარეობაში.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 1. კრენდილი; 5. კალა; 7. ლაბადა; 9. კაპიტოლიუმი; 10. რეკლამა; 12. ოსირისი; 13. რეზერვი; 16. კავკასია; 17. კოლი; 18. აგუტი; 20. ოდალისკი; 22. პრიმა; 23. არტერია; 24. ავანსი; 25. კორტი.

შვეულად: 2. რიაზანი; 3. ნეიტრონი; 4. იდიოტიზმი; 5. კომში; 6. აბრისი; 8. ბრამსი; 11. კარპოვი; 14. რეგლამენტი; 15. ასკარიდი; 16. კონსულატი; 17. კისერი; 19. გუდრონი; 21. მარკა; 22. პანტა.

სკანვორდის პასუხები:

1. რამონა; 2. ფრაუ; 3. იო; 4. კავენდიში; 5. ფასი; 6. ემილ; 7. სოია; 8. ტაო; 9. მერსი; 10. მო; 11. აბელი; 12. ბალერინა; 13. აირანი; 14. ნორმა; 15. ნუკრი; 16. რძე; 17. არმია; 18. ოდრი; 19. იდუმალი; 20. ბილიკი; 21. ენერგია; 22. ორმო; 23. პიანინო; 24. არაყი; 25. ნესტორი; 26. ენეიდა; 27. ალეკ; 28. არაუკარია; 29. ბილ; 30. ბაგირა; 31. კიი; 32. ბია; 33. კომბაინი.

სურათებზე: გაბრიელა დუარტე; მარკუშ სენა

მასტერი მსმენელებს მადლობას უხდის

რეპერი მასტერი, იგივე გიორგი პავლიაშვილი თავის მსმენელს მადლობას უხდის:

– რეალურად ისეთი ცოტა მეგობარი მყავს, 2-3 ადამიანს რომ არ ეცალოს ჩემთან შესახვედრად, სახლში მივდივარ ხოლმე...

ვერასდროს ვიფიქრებდი, რომ შეიძლება ამდენი ადამიანი გყავდეს გარშემო და ასე მარტო...

ჩემს მსმენელებს მინდა ვუთხრა, რომ მე თქვენი მოწერილი წერილებით, ქუჩაში მოსალმებით და სიმღერებზე დაწერილი კომენტარებით ვცხოვრობ, დიდი მადლობა, მე თქვენ ძლიერად მიყვარხართ!

ელდარ შენგელაიას კინოპრემია „ნიკა“ მიანიჭეს

რეჟისორ ელდარ შენგელაიას და მის ახალ ფილმს „სავარძელი“ კინოპრემია „ნიკა“ მიანიჭეს.

მოსკოვში, ყველაზე პრესტიჟული კინოპრემიის „ნიკას“ დაჯილდოების საზეიმო ცერემონია გაიმართა, სადაც ცნობილი გახდა, რომ გამარჯვებული ნომინაციაში დსთ-ს, საქართველოს და ბალტიისპირეთის ქვეყნების საუკეთესო ფილმი ელდარ შენგელაიას „სავარძელი“ გახდა.

ამ ნომინაციაში კიდევ ოთხი ფილმი მონაწილეობდა: „ზარი მამასთან“ რეჟისორი სერიკ აპრიმოვი, ყაზახეთი. „კენტავრი“ რეჟისორი აკტან არიმ კუბატი, ყირგიზეთი. „მაისის ბოლო დღე“ რეჟისორი იგორ კისტოლი, მოლდოვა. „ნათესავები“ რეჟისორი ვიტალი მანსკი, ლატვია, ესტონეთი, უკრაინა.

პრემია „ნიკას“ ყოველწლიურად რუსეთის კინოაკადემია გასცემს. წელს დაჯილდოების საზეიმო ცერემონია მოსკოვში 31-ედ გაიმართა.

ბასა ჯანიკაშვილი ტელეწამყვანი გახდა

მწერალი და დრამატურგი ბასა ჯანიკაშვილი ტელეწამყვანი გახდა.

მალე წიგნის მოყვარულებს შეეძლებათ ბასა ჯანიკაშვილის რადიო გადაცემას „საუკეთესო წიგნები“ რადიო პირველი არხის ეთერში მოუსმინონ.

მწერალი აუდიტორიას ყველა იმ თემაზე ესაუბრება, რაც წიგნთან არის დაკავშირებული. ისინი მიიღებენ რჩევებს იმ საკითხზე, რომელიც ბევრ მშობელს არ მოსწონს – თუ როგორ მივიყვანოთ შვილები წიგნებამდე.

სამგლოვიარო განცხადებები



ჯანსუღ კახიძის სახელობის თბილისის მუსიკალურ-კულტურული ცენტრის თანამშრომლები და თბილისის სიმფონიური ორკესტრის მუსიკოსები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი კომპოზიტორის, ნუგზარ ვაწაძის შვილი, თბილისის სიმფონიური ორკესტრის მუსიკოსი

გიორგი ვაწაძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახსა და ახლობლებს.

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

ლაშა ბუღაძე: „მე დამავიწყდა ქალები“

„ქალი დაგავიწყდათ“ – ასეთია მწერლისა და დრამატურგის ლაშა ბუღაძის ახალი ჩანაწერი, რომელიც დრამატურგიის თემაზე გამართულ კონფერენციას უკავშირდება.

ლაშა ბუღაძე:

– მახსოვს, დრამატურგიის კუთხით ერთ არცთუ გამართულ კონფერენციაზე აღმოვჩნდი რამდენიმე წლის წინ და სხვადასხვა თემაზე საუბრის შემდეგ, მოულოდნელად ჩემთვის საინტერესო თანამედროვე მწერლების ჩამოთვლა მთხოვეს.

მართალია, მწერლებზე შეკითხვას არ ველოდი, რადგან მანამდე, არც მეტი, არც ნაკლები, ლენინის უგვანი ბუნების შესახებ მოვუთხრობდი მისდამი თითქმის სიმპათიით განწყობილ ცნობისმოყვარე სტუდენტებს, მაგრამ ჩემთვის საინტერესო მწერლები მაინც სიამოვნებით და ენთუზიაზმით ჩამოვუთვალე.

ჩამოვუთვალე მათი ნიჭის მიმართ ჩემი გულწრფელი აღტაცების მიზეზით, მაგრამ უეცრად დელიკატური საყვედური, საყვედურიც არა, უფრო შეკითხვა მივიღე ერთ-ერთი სტუდენტისგან:

– მარტო კაცები დაასახელეთ, ქალები არ წერენ?

იმ წუთას ვიფიქრე, რომ ეს სტუდენტი ჩემს საგემოვნებო სივრცეში ცდილობდა შემოჭრას და ქალი მწერლების დასახელება მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი ქალები იყვნენ, არცთუ გულწრფელი აქტი იქნებოდა ჩემი მხრიდან. მე მთხოვეს, რომ ჩემთვის საინტერესო თანამედროვე მწერლები ჩამომეთვალა და მეც ჩამოვთვალე... ოღონდ, დიახ, კაცი მწერლები, რადგან ასე გამოვიდა, რომ ისინი კაცები იყვნენ. ანკი ამას რა მნიშვნელობა აქვს-მეთქი, შეკითხვაც კი მივუბრუნე იმ სტუდენტს და ისე გავაგრძელე ლაპარაკი, თითქოს მე მქონდა მისთვის სასაყვედურო და არა მას ჩემთვის.

ვიფიქრე, ისევ ლენინს მივუბრუნდები-მეთქი და მივუბრუნდი კიდეც, მაგრამ გზადაგზა არჩამოთვლილ პასუხებად მახსენდებოდნენ ჩემთვის საინტერესო თანამედროვე ქალი მწერლები, რომლებიც რატომღაც რამდენიმე წუთის წინ არ დავასახელე...

აღმოჩნდა, რომ ჩემს მეხსიერებას და, იმედია, არა მენტალიტეტს, პრობლემა ჰქონია ამ კუთხით: მე დამავიწყდა ქალები.

ანუ მეც კი, ჩემივე თვითაღქმით, თითქოსდა თავისუფალს პატრიარქალურ-ავტორიტარული აზროვნების ელემენტებისგან, არ გამახსენდა არც ერთი მწერალი ქალი, მიუხედავად იმისა, რომ თუკი ოდნავ მაინც დავატანდი თავს ძალას, აუცილებლად გამახსენდებოდა ერთი ან ორი მაინც, რომლითაც ისევე გულწრფელად ვიქნებოდი აღტაცებული, როგორც მწერალი კაცებით.

მაგრამ არ გამახსენდა, რადგან მეც იმ მოსაწყენად ძველისძველი ჩვევის მატარებელი ვყოფილვარ, როცა რატომღაც ასე ბანალური ჩამოთვლის დროსაც კი შეუძლებელი ხდება ქალის გახსენება...

აი, არ გამახსენდა და მორჩა. და არა იმიტომ, რომ ცუდი მეხსიერება მაქვს, ან მით უმეტეს, ცუდი ვარ, არამედ იმიტომ, რომ უბრალოდ კაცი გამახსენდა და არა ქალი...

თუმცა სიტყვა უბრალო სულაც არაა უბრალოდ წამოსასროლი: ამ უბრალოს უკან საუკუნეების განმავლობაში გამჯდარი ჩვევაა, მამაკაცის უპირატესობის დამაკანონებელი ბრიყვული, უარგუმენტო და ხშირ შემთხვევაში ისტორიულად მავნე ტრადიცია, დაუსაბუთებელი და ღრმად ჩაბეტონებული „ცოდნა“, რომ „ქალებს ბევრი არც არაფერი მოეთხოვებათ“, და კიდევ ათასი ამორალური კრეტინიზმი, რითიც უკვე საუკუნეებია ქალების და კაცების ტვინებია გამოტენილი.

თანასწორობა ინტელექტუალური იდეა ყოფილა, რომელსაც ვიღაცა ადვილად აქცევს პრაქტიკად, სხვა ძნელად ან სხვაზე გვიან. როგორც დანა-ჩანგლის ხმარება გვასწავლეს ოდესღაც და შემდეგ რამდენჯერმე შეგვახსენეს, როცა ჩვეულებისამებრ თუ ინსტინქტურად ისევ თითები ვიტაკეთ პირში, ასევე უნდა ვისწავლოთ და არ დაგვავიწყდეს, რომ როცა თუნდაც მწერლების ჩამოთვლას გვთხოვენ, კაც მწერლებზე არანაკლებ კარგი და უკეთესი მწერალი ქალების გახსენებაც უნდა შეგვეძლოს...

აღარაფერს ვამბობ სხვაგვარ ჩამონათვალზე და თეორიულ თუ არსებულ სიებზე, განსაკუთრებით კი პოლიტიკის სფეროდან, სადაც სივრცის უმეტესობა კაცებს აქვთ დაკავებული – როგორც ბეჰემოტებს ზოოპარკის მტკნარი წყლით სავსე აუზები.

აი, ვის არ ახსენდებათ ქალები და პოლიტიკოს კაცებს! პირველობას ხომ არა და არ უთმობენ და თუკი ერთ-ორს მაინც შეარჩევენ, მხოლოდ როგორც მსუბუქად ინტელექტუალურ-სავიტრინე დანამატს, ან როგორც მსახურ-სპიკერ-რესპონდენტს. თუ ჰყავთ, ისე აიგდებენ კაცთა სამყაროში და ისე გადაფარავენ როხროხა კაცური ხმებით, რომ ქალს ან შეეზარება მათთან გამკლავება, ან სულ ყვირილ-წივილ-კივილით იქნება დაკავებული, რათა სულ ოდნავ მაინც გაისმას მისი ხმა მოღრიალე და ქალის აზრებით დაუინტერესებელი კაცების ქოროში.

შეხედეთ, რამდენი კაცია პოლიტიკურ ველზე და შეადარეთ, რა ცოტა ქალია გარშემო! თვალი გადაავლეთ პარლამენტს, საკრებულოებს, მერიებს და ყველა იმ დაწესებულებას, სადაც გადაწყვეტილება მიიღება ან უნდა მიიღებოდეს: სულ კაცები, კაცები, კაცები, კაცები, კაცები, შავ ქურთუკებში, განიერი კისრებით, ბრაზიანები და ხმაურიანები, უფუნქციოები და მაინც იქ მყოფები, სადაც საჭიროა, სულელები და იმაზე სულელები, ვიდრე ვინმეს წარმოუდგენია, დიდად არაფრით გამორჩეულები კაცობის გარდა და სულ მთლად გამოურჩევლები, მაგრამ მაინც კაცები, ანუ კაცობის ნიშნით გამორჩეულები, ერთმანეთის გვერდი-გვერდ, მაგიდებთან, ერთმანეთზე შეწებებულები და სკამებში ჩაჭეჭყილები – სულ კაცები, კაცები, კაცები, კაცები, კაცები... მთავარი პოლიტიკური თანამდებობები კაცებს, არამთავარი თანამდებობებიც კაცებს, რადგან კაცის ყველგან ყოფნა და არყოფნაც კი უფრო დიდი პრობლემაა, ვიდრე ქალის ყოფნა ან არყოფნა, ყველგან კაცი უნდა გაგახსენდეს პირველად და თუკი ვინმე გეტყვის, სულელი ქალი რად გინდაო, ასე გიპასუხებენ, სულელ ქალს ისევ სულელი კაცი ჯობიაო...

ადრე ვერ ვამჩნევდი, იდგნენ თუ არა ქალები, ვთქვათ, რაიმე უმნიშვნელო თუ მნიშვნელოვან პრესკონფერენციაზე კაცების გვერდით – ვერ ვამჩნევდი და ეს არც მაწუხებდა, თუმცა შემდეგ, როცა გავაცნობიერე, რომ ეს პრობლემაა, არათუ ვერ ვამჩნევდი, არამედ გულწრფელად მაწუხებდა, რატომ არ ჩანდნენ ქალები კაცების მახლობლად, ახლა კი მიკვირს და მაბრაზებს კიდეც, როცა იქ, სადაც რაიმე გადაწყვეტილება მიიღება, ან წესით უნდა მიიღებოდეს, მარტო კაცებს ვხედავ და ქალებს კი არა, ან ათ კაცს და ერთ ქალს, ან ოც კაცს და ორ ქალს...

და ახლა ვფიქრობ, ალბათ, როგორი უტაქტო ან, საერთოდ, ველური ვეგონე იმ სტუდენტს, როცა არც ერთი ქალი არ დავუსახელე ჩამოთვლილ მწერლებს შორის.

რა სირცხვილია...

ხახულის მონასტერში მოლა გალობს



ხახულის მონასტერი ტაო-კლარჯეთში მდებარეობს. ქართულ ეკლესიაში, რომელიც შუა საუკუნეებით თარიღდება და დავით III კურაპალატის მიერ X საუკუნის II ნახევარშია დაარსებული, დღეს მეჩეთი მოქმედებს.

ხახულის მონასტერი ისტორიულ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, ახლანდელ თურქეთის ტერიტორიაზე მდებარეობს. ტაო-კლარჯეთში ჩასული ქართველი მომლოცველები არაერთხელ გამხდარან მოლას გალობის მოწმე. ერთ-ერთი მარიამ თოდუაა, რომელიც ხახულის მონასტერში ორიოდე დღის წინ იმყოფებოდა. მან სოციალურ ქსელში ვიდეო განათავსა, სადაც ისმის, თუ როგორ გალობს მოლა ქართულ ეკლესიაში:

– ხახული ამ წუთებში... შიგნით მოქმედი მეჩეთია...

გეგა ფალავანდიშვილი: „26 მაისს არ დაგავიწყდეთ იმ ბრძენი კაცის სადღეგრძელოც, რომელმაც მტრის ფულით ჩვენი ქვეყანა იყიდა“

ყოფილი ტელეწამყვანი გეგა ფალავანდიშვილი 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის დღის აღნიშვნის თემას ეხმაურება:

– 26 მაისს დამოუკიდებლობის, ქართველობის, ტრადიციების, მშობლების, მეგობრების, შვილების და „რაც მაგრები ვართ“ სადღეგრძელოებთან ერთად არ დაგვავიწყდეს იმ ბრძენი კაცის სადღეგრძელოც, რომელმაც მტრის ფულით ჩვენი ქვეყანა იყიდა და გვასწავლა, რომ დამოუკიდებლობაც, ქართველობაც, ტრადიციებიც, მშობლებიც, მეგობრებიც, შვილებიც და „რაც მაგრები ვართ“ ფულზე იყიდება. ხო, კეთილების მოკითხვაც არ გამოგვრჩეს კიდე.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

უთავო წიწილა სიცოცხლეს განაგრძობს

ტაილანდში უთავოდ დარჩენილი წიწილა უკვე ერთი კვირაა სიცოცხლეს აგრძელებს და იღებს საკვებსაც და ანტიბიოტიკებსაც. მას ვეტერინარი არუნ ტონგი უვლის, რომელიც შინაურ ფრინველს ნამდვილ მებრძოლს ეძახის.

ექიმის თქმით, ის წიწილას საკვებს კისრიდან აწვდის და ანტიბიოტიკებსაც აძლევს. მისი თქმით, ფრინველი საკმაოდ თვინიერია და მკურნალობაზე კარგად რეაგირებს.

ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ როგორ დარჩა წიწილა უთავოდ, არ ვრცელდება. ადგილობრივები კი მიიჩნევენ, რომ მას შესაძლოა ცხოველები დაესხნენ თავს. ვეტერინარულ საავადმყოფოში იმედი აქვთ, წიწილას პატრონი გამოუჩნდება და მასზე იზრუნებს.

– მას მუდმივად ზრუნვა სჭირდება. უნდა ვაღიარო, რომ ეს წიწილა ნამდვილი მებრძოლია, ძლიერი გულით, – განაცხადა ექიმმა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

3 აპრილისთვის

აშშ დოლარი — **2.4144**

ევრო — **2.9762**

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — **3.3932**

100 რუსული რუბლი — **4.2081**

ამინდის პროგნოზი 3 აპრილისთვის

5 აპრილიდან

150 ამბავი ნობელიანტი ფიზიკოსები

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი



29 მარტიდან

ავთანდილ ბუხრაშვილი

მუუდრო აგარაკის საიდუმლოება

ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი

3 აპრილიდან

79 ამბავი ზვიად გამსახურდია

ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი

პოლ პოგბა მანჩესტერში უკმაყოფილოა



მანჩესტერ იუნაიტედის ფრანგმა ნახევარმცველმა პოლ პოგბამ განაცხადა, რომ ის თავისი მდგომარეობით უკმაყოფილოა მანჩესტერში, რადგან ხშირად უწევს სათადარიგოთა სკამზე ჯდომა, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ის მანჩესტერს დატოვებს.

– ჩემს კარიერაში პირველად ხდება, რომ სათადარიგოთა სკამზე ამდენ დროს ვატარებ. ეს ცოტათი უჩვეულოა, მაგრამ მუშაობას კვლავინდებურად ვაგრძელებ და იმედი მაქვს, მდგომარეობა შეიცვლება, – განაცხადა პოლ პოგბამ.

ტურინში მილანის ავტობუსი დაამტვრიეს

ტურინის იუვენტუსის გულშემატკივრებმა მილანის ავტობუსს ქვები დაუშინეს, რის შემდეგაც ავტობუსის შუშები ჩაიმტვრა, თუმცა საბედნიეროდ ამ დროს ავტობუსში არავინ იმყოფებოდა და, შესაბამისად, არავინ დაშავებულა.

ასეთი საქციელის გამო იუვენტუსი სავარაუდოდ ფულადი ჯარიმით დაისჯება. იუვენტუსის და მილანის შეხვედრა 31 მარტს გაიმართა და ტურინელებმა 3:1 მოიგეს, თუმცა საკმაოდ დიდი ხნის მანძილზე ანგარიში 1:1 იყო.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

იუმორი

ორი პროგრამისტი საუბრობს. ერთი მეორეს ეუბნება:

– გუშინ ცოლმა დამირეკა და მოდემმა უპასუხა...

– მერე?

– საათ-ნახევარი საუბრობდნენ...

•••

ექიმის სახლში უნიტაზი გაიჭედა. გამოიძახა სანტექნიკოსი. სანტექნიკოსმა ორ ადგილას ჩაქუჩი მიუკაკუნა, ხუთი წუთი კიდევ იჯახირა და შემდეგ ექიმს ეუბნება:

– მოვრჩი, თქვენზე 100 ლარია.

– რა ამბავია 100 ლარი? ხუთი წუთი მუშაობისთვის? ნეიროქირურგი ვარ, 12 წელი ვსწავლობდი ამ სპეციალობას, მაგრამ მე ხუთი წუთის მუშაობაში 100 ლარს არავინ მიხდის.

– სწორია. როდესაც მეც ნეიროქირურგი ვიყავი, არც მე მიხდიდნენ ფულს.

•••

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს მიმართავს:

– მინდა, რაღაც გკითხო. ასეთი ამოცანაა...

– დაიცა, რჩევა გინდა თუ კონსულტაცია?

– კი მაგრამ, რა განსხვავებაა?

– რჩევა უფასოა, კონსულტაცია კი – ფასიანი.

– რა თქმა უნდა – რჩევა!

– ჰოდა, ჩემი რჩევაა: კონსულტაციაზე ჩაიწერე.

•••

სამსახურის დაწყების მსურველ მამაკაცს გასაუბრებაზე ეკითხებიან:

– თქვენი ნაკლოვანება რაში მდგომარეობს?

– სიტყვაძუნწობაში.

– და ღირსება რით გამოიხატება?

– ყბედი არ ვარ.

•••

ტურისტი ჩინეთის ღირსშესანიშნაობების დათვალიერების შემდეგ გიდს ეკითხება:

– რამდენია ჩინეთის მოსახლეობა?

– ორი მილიარდი...

მცირე პაუზის შემდეგ ტურისტი ისევ ეკითხება:

– და კიდევ რა საქმით ხართ დაკავებული?

•••

მამაკაცი პროგრამისტს ეკითხება:

– ანტივირუსი ასე დიდხანს რატომ ანდომებს ფილმის შემოწმებას?

– უყურებს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

22 მარტიდან

180 ამბავი ილია ჭავჭავაძე

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

28 მარტიდან



130 ამბავი ლუდი

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

ანტონიო კონტე ჩელსიდან წასვლაზე ალაპარაკდა

ჩელსიმ საკუთარ მოედანზე ტოტენჰემთამ 1:3 წააგო და ამ წაგების შემდეგ უკვე ღიად დაიწყო საუბრები კონტეს შესაძლო წასვლაზე ჩელსიდან.

თვითონ კონტემაც აღნიშნა, რომ მისთვის ბოლომდე ცნობილი არ არის, დარჩება ის ჩელსიში, თუ კარიერას სხვა გუნდში გააგრძელებს.

– მწვრთნელმა ზუსტად არასოდეს იცის, თუ როგორ განვითარდება მოვლენები. თითოეული მატჩის შემდეგ ბევრი რამ იცვლება, ამიტომ მომავალში რა იქნება, ამაზე საუბარი არ შემიძლია, – განაცხადა ანტონიო კონტემ.

ჩელსის წელს წარუმატებელი სეზონი აქვს და, სავარაუდოდ, კონტეს გუნდი მომავალ წელს ჩემპიონთა ლიგის მიღმა დარჩება, რაც ამ კლუბისთვის ძალიან ცუდი შედეგია.

კიელინიმ სერხიო რამოსი შეაქო

იუვენტუსის ცენტრალურმა მცველმა ჯორჯო კიელინიმ სერხიო რამოსზე ისაუბრა და თქვა, რომ რამოსი მსოფლიოში საუკეთესო მცველია.

კიელინის აზრით, რამოსის გარეშე რეალი ვერ შეძლებდა ბევრი ტიტულის მოგებას.

– როდესაც რამოსის თამაშს ვუყურებ, სიამოვნებას ვიღებ. ის ძალიან ძლიერი ფეხბურთელია და რეალის წარმატებები დიდწილად მისი დამსახურებაა. რეალის წინააღმდეგ გაგვიჭირდება, მაგრამ მჯერა, რომ მას დავამარცხებთ, – განაცხადა ჯორჯო კიელინიმ. იუვენტუსის და რეალის პირველი დაპირისპირება დღეს, 3 აპრილს, ტურინში გაიმართება.

ჯონ იზნერმა მაიამის მასტერსი მოიგო

ამერიკელმა ჩოგბურთელმა ჯონ იზნერმა მაიამის მასტერსი მოიგო. ფინალში ისნერმა ალექსანდრ ზვერევი დაამარცხა ანგარიშით 6:7, 6:4, 6:4.

ამერიკელისთვის ეს პირველი მოგებული მასტერსის ტურნირია კარიერაში და მატჩის შემდეგ ჯონი სიხარულს არ მალავდა. იზნერის თქმით, ეს წარმატება მისი შრომის და კარგი თამაშის დამსახურებაა და ის შეეცდება, ოპტიმალური ფორმა არ დაკარგოს:

– ძალიან ბედნიერი ვარ. ზვერევმა ბევრი პრობლემა შემიქმნა, მაგრამ ყველა სირთულე გადავლახე და ეს გამარჯვება დავიმსახურე. კარგ ფორმაში ვარ და ასე უნდა გავაგრძელო.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ჯოსვოხდი ა



შვეულად: 1. მდინარე საქართველო-თურქეთის საზღვარზე; 2. კუთხე საქართველოში; 3. საწვრთნელი ორთაბრძოლა კრივში; 4. ქალის უთითო ხელთათმანი; 6. ქალების მოყვარული, მექალთანე მამაკაცი; 8. კაზინოს თანამშრომელი; 11. ხევსურული ტანსაცმელი; 12. ყმაწვილის ხმის შეცვლა, დაბოხება ასაკში შესვლის გამო; 16. ქართული ზღაპრების პერსონაჟი, ავი სული; 17. ტრაგედია „ოტელოს“ პერსონაჟი; 18. ათცენტიანი მონეტა აშშ-ში.

თარაზულად: 1. ქალაქი იმერეთში; 5. ევროპა-აზიის გამყოფი ქედი; 7. „დედინაცვლის ენად“ წოდებული კაკტუსის ერთ-ერთი სახეობა; 9. ელექტრონული წინაღობის საზომი ხელსაწყო; 10. იტალიელი მოდელიორი; 13. ჰიმნების, საგალობლების კრებული ძველ ქართულ მწერლობაში; 14. მწვანეთი მოსილი წყლიანი ადგილი უდაბნოში; 15. შტატი აშშ-ში; 19. იტალიური ვერმუტი; 20. შავყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 21. ძუნწი ადამიანის მეტსახელი საფრანგეთში; 22. მოღრუბლული დილა.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა